პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი
№ 131 (11437) | სამშაბათი, 9 ივნისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

უნგრეთის დეპეშათა სააგენტოსა და გაზეთ „ნეპსაბადშაგის“ რედაქციის კითხვებზე

ბუდაპეშტი, 7 ივნისი. (საკდესი). უნგრეთის დეპეშათა სააგენტომ და გაზეთ „ნეპსაბადშაგის“ რედაქციამ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს მიმართეს თხოვნით ეპასუხნა ზოგიერთ კითხვაზე. ქვემოთ ქვეყნდება ეს კითხვები და ამხანაგ ხრუშჩოვის პასუხი, რომლებიც დაბეჭდილია გაზეთ „ნეპსაბადშაგში“.

კითხვა. როგორია თქვენი აზრი ახლანდელ საერთაშორისო მდგომარეობასა და მშვიდობის პერსპექტივებზე?

პასუხი. მოკლედ რომ ვილაპარაკოთ, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ახლა ცუდი როდია. საერთაშორისო მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესების ერთ-ერთი ნიშანია საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ჟენევაში. მართალია, ახლა დასავლეთის ქვეყნებში გამოთქვამენ პესიმისტურ აზრებს: ზოგიერთი ამბობს, თითქოს თათბირის მუშაობაში ისახება „ჩიხი“, ხმარობენ სიტყვა „კრიზისსაც“ კი და სხვ. ვფიქრობ, რომ ამ ტერმინებს ხმარობენ ისინი, ვისაც არა სურს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. როგორც ჩანს, გარკვეულ წრეებს ეშინიათ, ვაი თუ ჟენევაში შეკრებილი საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ ძირითად საკითხებზეო, და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ეს არ დაუშვან.

მაგრამ მიუხედავად ზოგიერთი შემაშფოთებელი მოვლენისა, მშვიდობიანი თანაარსებობის მოწინააღმდეგეთა ყოველგვარი ხრიკებისა, საერთაშორისო მდგომარეობა ახლა უკეთესია, ვიდრე ორი-სამი წლის წინათ იყო. თუ პერსპექტივებზე ვილაპარაკებთ, მე ვფიქრობ, ეს მდგომარეობა კიდევ უკეთესი იქნება. რას ემყარება ასეთი რწმენა? იმას, რომ ახლა ძალთა თანაფარდობა მშვიდობის სასარგებლოდ შეიცვალა. ახლა მშვიდობის ძალები ძლიერ გაიზარდნენ, ისინი კიდევ უფრო ძლიერი გახდნენ და შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ იმპერიალისტ აგრესორებს. მე მხედველობაში მაქვს უწინარეს ყოვლისა სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან მშვიდობისათვის. ძალთა ახლანდელი თანაფარდობის პირობებში არა მგონია მოინახონ ისეთი ადამიანები, რომლებსაც საღი გონება ჰქონდეთ და ამავე დროს სურდეთ ატეხონ ახალი ომი, რათა გამდიდრდნენ სხვისი ქვეყნების დაპყრობით ან სცადონ თავს მოახვიონ სოციალიზმის ქვეყნებს კაპიტალისტური წესწყობილება. რეალისტმა პოლიტიკოსებმა უნდა შეიგნონ, რომ თანამედროვე პირობებში სოციალისტურ ქვეყნებზე თავდასხმა კაპიტალისტური სამყაროსათვის სრული კატასტროფით დამთავრდებოდა.

რაც უნდა ცდილობდნენ გერმანელი გენერლები — ეს ცოცხლად გადარჩენილი რევანშისტები, ან მათთან შეჯიბრებული ზოგიერთი ამერიკელი გენერალი გვემუქრებოდნენ ომით, ეს ჩვენ არ გვაშინებს. და არა მგონია, რომ თვითონ ისინიც ნამდვილად ფიქრობდნენ ისე, როგორც ლაპარაკობენ. ალბათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობა მხარს არ უჭერს ასეთ ომის გამჩაღებლურ განცხადებებს.

ხალხთა შეგნებაში სულ უფრო ღრმად იკიდებს ფეხს ომის დაუშვებლობის იდეა. ყველა ქვეყნის ხალხებს სწყურიათ მშვიდობა, ისინი სულ უფრო აქტიურად ილაშქრებენ გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ახალი ომის თავიდან აცილებისათვის. აგრესიული ძალები იძულებული არიან ამასაც გაუწიონ ანგარიში.

ყოველივე ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ საერთაშორისო მდგომარეობა კარგ მდგომარეობად მივიჩნიოთ. იმედი გვაქვს, რომ ჟენევაში საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე მიღწეულ იქნება შეთანხმებანი მთელ რიგ მომწიფებულ საკითხებზე. ხოლო თუ შეთანხმებები მიღწეულ არ იქნა მინისტრების თათბირზე, მაშინ, როგორც ჩანს, საჭირო შეთანხმებები მიღწეულ იქნება უმაღლესი დონის თათბირზე. უწინარეს ყოვლისა მიღებულ უნდა იქნას გადაწყვეტილება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, როგორიც არის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება. ეს იქნებოდა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი „ცივი ომის“ ლიკვიდაციის გზაზე.

მე არა მსურს ახლა გამოვთქვა კონკრეტული კრიტიკული შენიშვნები, თუ როგორ უდგება დასავლეთის სახელმწიფოთა ზოგიერთი წარმომადგენელი ამ საკითხის განხილვას ჟენევის მოლაპარაკებაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ მოღვაწეს სურს მიაღწიოს ისეთ შეთანხმებას, რომ შეინარჩუნოს საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში, სურს, რომ ჩვენ ომის დამთავრების 14 წლის შემდეგ ხელი მოვაწეროთ დოკუმენტს ოკუპაციის განგრძობის შესახებ. მაგრამ განა შეუძლიათ სერიოზულ ადამიანებს იქონიონ იმის იმედი, რომ ჩვენ ასეთ შეთანხმებას დავდებთ?

საბჭოთა მთავრობა იმისათვის დათანხმდა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მოწვევაზე, რომ აწარმოოს მოლაპარაკება გონივრულ საფუძველზე, შეთანხმდეს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებასა და დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ნაშთების ლიკვიდაციის შესახებ. ვითვალისწინებთ რა, რომ დასავლეთ ბერლინსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა სხვადასხვა სოციალური სისტემები, ჩვენ შევიტანეთ წინადადება, რომ დასავლეთი ბერლინი გადაიქცეს თავისუფალ ქალაქად, რათა არ დავამსხვრიოთ იქ შექმნილი წყობა. ჩვენ შევიტანეთ აგრეთვე წინადადება ამ თავისუფალი ქალაქის არსებობის საჭირო გარანტიების შესახებ. საბჭოთა კავშირი არავითარი ზეგავლენით არ დადებს შეთანხმებას, რომელიც სამუდამოდ დაამკვიდრებდა საოკუპაციო რეჟიმს დასავლეთ ბერლინში.

ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე აცხადებს, რომ თუ საბჭოთა კავშირმა არ მიიღო დასავლეთის სახელმწიფოთა პირობები და ხელი არ მოაწერა შეთანხმებას, რომელიც ფაქტიურად ითვალისწინებს დასავლეთ ბერლინის ოკუპაციის განგრძობას, მაშინ არ მოხდება შეხვედრა უმაღლეს დონეზე. მაგრამ სახელმწიფო მოღვაწეებისათვის სერიოზული მოტივი როდია.

მთავრობათა მეთაურების შეხვედრა გართობა არ არის. იგი საჭიროა მომწიფებული საერთაშორისო საკითხების გადაჭრისათვის, რომელთა გადაჭრა შეუძლიათ მხოლოდ მთავრობათა მეთაურებს. ამიტომ თუ მთავრობათა მეთაურებს საჭიროდ მიაჩნიათ გადაჭრან ეს საკითხები, რათა გაფანტონ სახელმწიფოთა ურთიერთობაში არსებული ღრუბლები, გაწმინდონ ჰორიზონტი და ნამდვილად შექმნან სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ყველა პირობა, მაშინ ასეთი შეხვედრა მოიწყობა. თუ მთავრობათა მეთაურები იხელმძღვანელებენ მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებით, ასეთ შეხვედრაზე შეიძლება ბევრი საკითხი გადაიჭრას. ხოლო თუ ასეთ სურვილს არ გამოიჩენენ, რა თქმა უნდა, მთავრობათა მეთაურების შეხვედრა არ მოხდება. მაშინ მსოფლიო საზოგადოებრიობა დაინახავს, თუ ვინ არის დამნაშავე უმაღლეს დონეზე თათბირის ჩაშლაში. ეს ალბათ უკვალოდ არ ჩაივლის იმათთვის, ვინც ხელს უშლის საერთაშორისო ვითარების დასახულ გაუმჯობესებას, ვინც საბოტაჟს გაუწევს შეთანხმებათა მიღწევას, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

ვფიქრობ, რომ ამით შეიძლება დავკმაყოფილდეთ თქვენს კითხვაზე გასაცემ პასუხში. ამჟამად ჟენევაში საგარეო საქმეთა მინისტრები მოლაპარაკებას ეწევიან ურთიერთ შორის, საჭიროა ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი იმას, რომ მინისტრებმა გამონახონ გონივრული გადაწყვეტილებანი და გზა გაუკაფონ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

კითხვა. რა გსურთ გადასცეთ უნგრელ ხალხს, რომ გულითადად ვუსურვებ მას უაღრესად საუკეთესო წარმატებებს ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როცა მშრომელი ხალხი თავის ხელში იღებს ძალაუფლებას, მისი მთავარი ამოცანაა ეკონომიკის სწრაფი განვითარება. ამაზეა დამოკიდებული ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, მისი კულტურის აყვავება. რაც უფრო მაღალია ეკონომიკა, მით უფრო მტკიცეა მუშურ-გლეხური მთავრობის ხელისუფლება, რომელიც თავის პოლიტიკას ახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ინტერესებისათვის.

ადამიანის ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და განვითარება დამოკიდებულია მისი ცხოვრების მატერიალურ პირობებზე. ამ პირობებს კი შრომა ქმნის. ადამიანთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება საზრდოთი, ტანსაცმლით, ბინით დამოკიდებულია ადამიანის შრომაზე, მაღალნაყოფიერ საზოგადოებრივ შრომაზე. ამიტომ კუსურვებთ უნგრელ ხალხს წარმატებებს თავისი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ჩვენ გვსურს, რომ თქვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მცირდებოდეს პროდუქციის თვითღირებულება, უმჯობესდებოდეს მისი ხარისხი, იზრდებოდეს შრომის ნაყოფიერება. ეს შექმნის დაგროვების გადიდების შესაძლებლობას, ხოლო დიდი დაგროვება ქმნის ხელფასის გადიდების, საქონლის ფასების შემცირების საფუძველს, ხელს უწყობს ხალხის ცხოვრების დონისა და კულტურული განვითარების განუწყვეტელ ამაღლებას.

როგორც გულწრფელი მეგობრები, ჩვენ დიდად ვაფასებთ უნგრელი ხალხის წარმატებებს და მხურვალედ გვახარებს ისინი. ჩვენ გვახარებს ხალხის მჭიდრო შეკავშირება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გარშემო, რომელიც გაბედულად ჰიდის წინ თავისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობს უნგრელი ხალხის ერთგული შვილი, ჩვენი მეგობარი იანოშ კადარი. ჩვენ გვახარებს მაღალი და დამსახურებული ავტორიტეტი ხალხში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობისა, რომელსაც სათავეში უდგას გამოჩენილი მოღვაწე, ჩვენი მეგობარი ფერენც მიუნიხი.

ვუსურვებ უნგრელ ხალხს აყვავებას და ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მთელ მის ცხოვრებაში, სოციალიზმის შენებლობის დიად საქმეში.

საყოველთაო-სახალხო საქმე

კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXI ყრილობამ დაგვისახა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ბრძნული და გრანდიოზული პროგრამა. კომუნიზმისაკენ მიმავალი გზის მანათობელი შუქურა — ეს დიადი პროგრამა დიდ ამოცანებს სახავს საბჭოთა სკოლის წინაშე, იგი მოითხოვს ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების შემდგომ გაფართოებასა და სრულყოფას.

„ცხოვრებასთან, წარმოებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სწავლების მჭიდრო კავშირი, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — **უნდა გახდეს სკოლაში მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლის წამყვანი საწყისი, კომუნისტური ზნეობის სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის საფუძველი“.**

ახლა, როდესაც მოქმედებაშია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“, განსაზღვრულია, თუ ახლებურად როგორ უნდა მოეწყოს მოზარდი თაობის აღზრდა და სწავლება. სწორედ ამ კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების ეტაპად პასუხსაგები ამოცანები. ცნობილია, თუ რა ფართო გამოხმაურება და პრაქტიკული მხარდაჭერა ჰპოვა შარშან ქობულეთელთა თაოსნობამ სკოლების ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადაყვანისათვის პირობების შექმნის შესახებ. რესპუბლიკაში ნამდვილად სახალხო საქმეე იქცა სკოლებისათვის ზრუნვა. აიგო ასობით ახალი სკოლა, მრავალ სკოლას სამეურნეო ორგანიზაციებმა გაუთავისუფლეს, შეუკეთეს და გადასცეს შენობები, შეუქმნეს სწავლების ნაყოფიერ შრომასთან შეერთებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მაგრამ მიუხედავად იმ დიდი ღონისძიებებისა, რაც სოფლად და ქალაქად ტარდება ახალი 1959-1960 სასწავლო წლისათვის მომზადების საქმეში, ნაკლოვანებანი მაინც საგრძნობია.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, რომელიც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ასიგნებული თანხის მხოლოდ 54,3 პროცენტი იყო ათვისებული მშენებლობაზე. არ შესდგომიან სამგორის რაიონის სოფელ ვაზიანის სკოლის მშენებლობას, მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოს, წულუკიძის რაიონის სოფელ გორდის, ქ. ფოთის, ახმეტისა და ლენტეხის რაიონული ცენტრების სკოლა-ინტერნატების მშენებლობა. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო და მთავართბილისმშენი არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მშენებლობის სამუშაოებს.

სასკოლო მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი და ჩამორჩენა ამთავითვე უნდა აღმოიფხვრას. გათვალისწინებულ უნდა იქნას შარშანდელი მეტად არასასურველი გაკვეთილი მოსწავლეთა განთესვისა.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების მთელი სამუშაოები უნდა წარიმართოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის შესახებ მიღებული კანონის განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით. უნდა შეიქმნას სკოლებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის საჭირო პირობები. მოსწავლეთა შრომითი მომზადების გაძლიერების საქმე, რასაც კანონი გვავალებს, მოითხოვს ყველა ზომის მიღებას სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობისათვის, აგრეთვე ახალი კაბინეტების, სასკოლო და სასკოლოთშორისო სახელოსნოების გახსნისათვის.

უზრუნველყოფილ უნდა იქნას სკოლის ასაკის ბავშვთა სრულად ჩაბმა სწავლებაში. სკოლებს უნდა დაუბრუნდნენ განთესილი ბავშვები. მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის კი პირობების შექმნაა საჭირო.

საათობრის დროზე მომარაგება; სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების ქსელის გადიდება; მოსწავლეთა კვების საქმის გაუმჯობესება; სკოლებთან გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოწყობა; ხელმოკლე მოსწავლეთათვის დასახმარებლად საყოველთაო სწავლების ფონდების შექმნა სკოლებში; სკოლიდან დიდი მანძილით დაშორებული მოსწავლეების გადაყვან-გადმოყვანის ორგანიზაცია, — ამ და ყველა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების დროულად და კარგად გატარება განათლების ორგანოების უპირველესი ამოცანაა. მაგრამ განათლების ორგანოები ამ ამოცანებს თავს ვერ გაართმევენ, თუ მათ მხარში არ ამოუდგებიან და ყოველდღიურ პრაქტიკულ დახმარებას არ გაუწევენ სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, თუ მთელ ამ სამუშაოებს კონტროლსა და ხელმძღვანელობას არ გაუწევენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები.

დღეს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილით მკითხველები ეცნობიან ზუგდიდის რაიონის მშრომელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვალდებულებებს, რომლებიც ნაკისრი აქვთ თავიანთ მიერ წამოწყებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა საუკეთესოდ მომზადებისათვის.

ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი ზუგდიდელთა წამოწყებას, რომელიც მოწონებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მიერ.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის ბრძოლა დიდმნიშვნელოვანი საყოველთაო-სახალხო და სახელმწიფოებრივი საქმეა.

მხარი დავუჭიროთ წითელწყაროელთა პატრიოტულ თაოსნობას!

მოსავალს 9 სამუშაო დღეში ავიღებთ

წითელწყაროელ მექანიზატორთა მიმართვას შვიდწლედის პირველი წლის პურეულის მოსავლის ათ სამუშაო დღეში აღების შესახებ ჩვენ, არადეფელი კოლმეურნე მექანიზატორები, ფარულად გამოვეხმაურეთ. მიმართვა სპეციალურად განვიხილეთ საერთო კრებაზე, აეწონ-დაეწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ:

720 ჰექტარზე თავთავიანი კულტურების მოსავალი ავიღოთ ცხრა სამუშაო დღეში და უდანაკარგოდ, ამასთან თვითეული კომბაინის სადღეღამისო წარმადობა ავიყვანოთ სულ მცირე 20 ჰექტარამდე. კომბაინთა აგრეგატები ვამუშაოთ შეუფერხებლად, ბუნკერიდან მარცვლის გადმოცლა ვაწარმოოთ აგრეგატის გაუჩერებლად, დავზოგოთ საწვავი 8 პროცენტით, თვითეულ ჰექტარზე პურეულის აღების ხარჯები შევამციროთ სამი მანეთით.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ სოფელ მოხისის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორებს.

ალექსი ტიტვინიძე — ქარელის რაიონის სოფელ არადეთის უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი; ვასილ ტიტვინიძე — კომბაინერი; ოთარ კოკოზაშვილი, სულიკო კაბულაშვილი — ტრაქტორისტები.

დღეში—30 ჰექტარი

როცა გავეცანი წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა მიმართვას, უფრო ენერგიულად შევუდექი მუშაობას. ეს იმიტომ, რომ მოპოვებული წარმატება საკმარისი არ არის. მე ყოველმხრივ მზად ვხვდები მოსავლის აღებას. მართალია, ხშირმა წვიმებმა ხორბლის ჩაწოლა გამოიწვია, მაგრამ ეს არ მაშინებს. ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიურად ავიღო 30 ჰექტარი პურეული და მოსავლის აღება დავამთავრო 10 სამუშაო დღეში.

ამასთან ერთად მოსავლის აღებაზე საწვავის ხარჯვას შევამცირებ 10 პროცენტით, თვითეული ჰექტარის მკის თვითღირებულებას კი 3 მანეთით. მოსავლის აღების პარალელურად ნაკვეთებს გავწმენდ ნამჯისაგან და მოკლე დროში დავთესავ 150 ჰექტარ სიმინდს, საშუალოდ ჰექტარზე მივიღებ 300 ცენტნერ მწვანე მასას.

ამ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულების მიზნით შეჯიბრებაში ვიწვევ თელავის რაიონის სოფელ იყალთოს კოლმეურნეობის კომბაინერს დიმიტრი გიგოლაშვილს.

სოლომონ რამაზაშვილი, ახმეტის რაიონის ზემო ხოდაშნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი რ. სიმონიძე მექანიზატორებს აცნობს წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა მიმართვას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საბჭოთა კავშირის მარშლის რ. ი. მალინოვსკის მომავალი ვიზიტი ავსტრიაში

ამა წლის ივნისის პირველ ნახევარში ავსტრიის თავდაცვის მინისტრის ფ. გრაფის მიწვევით საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი საბჭოთა არმიის გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფთან ერთად მეგობრული ვიზიტით ეწვევა ავსტრიას.

ავსტრიაში ყოფნის დროს მარშალი რ. ი. მალინოვსკი და მისი თანმხლები გენერლები და ოფიცრები ნახავენ სამხედრო სასწავლებლებს და ავსტრიის არმიის ნაწილებს, დაესწრებიან წვრთნას, აგრეთვე გაეცნობიან ქალაქ ვენის ღირსშესანიშნაობებს.





იცნობდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრებაში

ჩოხატაური. **ასინეთ კობიძემ** შუაგანახლების მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 58 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა. **ნათელა დოლიძემ** ძირგანახლების კოლმეურნეობაში მოკრიფა 64 კილოგრამი, **აგრაფინა გაფრინდაშვილმა** ქვენობის კოლმეურნეობის მიმღებ პუნქტს ჩააბარა 53 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი, ხოლო ჩაისუბნის კოლმეურნეობაში **ნადია ჩხიკვაძემ** მოკრიფა 67 კილოგრამი.

ქობულეთი. **ნაზია დოლიძემ** ციხისძირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 130 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 30 კილოგრამისა, **ნათელა ბარამიძემ** — 114 კილოგრამი; **ლენა ლემინციხკაიამ** ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მოკრიფა 128 კილოგრამი ნაცვლად 18 კილოგრამისა.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება

1959 წლის 5 ივნისისათვის
შესრულება პროცენტობით

ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	წლიური გეგმისა	მაის-ივნისის გეგმისა
სულ აჭარის ასსრ	30,6	65,0
სულ აფხაზეთის ასსრ	39,8	90,4
მახარაძის რაიონი	34,8	73,9
ჩოხატაურის	41,0	87,2
ლანჩხუთის	36,3	79,0
სამტრედიის	39,0	84,8
წულუკიძის	42,1	91,6
წყალტუბოს	50,6	109,7
ტყიბულის	48,6	105,7
ცხაკაიას	42,6	93,7
აბაშის	46,4	100,5
გეგეჭკორის	39,4	87,7
ზუგდიდის	34,5	75,0
წალენჯიხის	34,7	75,3
ჩხოროწყუს	39,5	85,8
ხობის	42,1	91,5
თერჯოლის	58,5	127,2
ზესტაფონის	70,0	175,0
ჭიათურა	67,7	168,0
ვანის	42,5	106,3
ფოთი	33,3	100,0
სულ საქართველოს სსრ-ში	36,5	79,4

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოსკოვში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 8 ივნისს მოსკოვში მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვალტერ ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ოტო გროტეველი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის, გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის, გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის, ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს, გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენელნი.

პარტიისა და მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი ა. თ. ზასიადკო, დ. თ. უსტინოვი, სსრ კავშირის მინისტრები, მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვმა და ვ. ულბრიხტმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში

1959 წლის 1 ივნისისათვის მოწველილია რძე (კილოგრამობით)

რაიონები	1959 წლის 1 ივნისისათვის	1958 წლის 1 ივნისისათვის	გადიდება შემცირება + —
ბათუმის	1.097	993	+104
ქობულეთის	807	711	+ 96
დმანისის	781	776	+ 5
ბოგდანოვკის	760	683	+ 77
წალკის	732	729	+ 3
ახალქალაქის	715	609	+106
საგარეჯოს	710	597	+113
გურჯაანის	708	608	+100
მახარაძის	705	669	+ 36
წითელწყაროს	699	615	+ 84
ბოლნისის	674	631	+ 43
თეთრიწყაროს	647	469	+178
ასპინძის	631	573	+ 58
ტყიბულის	626	509	+117
ლაგოდეხის	607	445	+162
სამგორის	595	563	+ 32
მცხეთის	590	512	+ 78
სიღნაღის	550	469	+ 81
მარნეულის	525	485	+ 40
სტალინირის	509	464	+ 45
ახმეტის	505	415	+ 90
თელავის	498	429	+ 69
თერჯოლის	494	453	+ 41
ზნაურის	492	460	+ 32
ქარელის	473	392	+ 81
დუშეთის	472	430	+ 42
საჩხერის	471	356	+115
ახალციხის	467	370	+ 97
გორის	464	439	+ 25
ჭავის	449	405	+ 44
ორჯონიკიძის	449	408	+ 41
ყვარლის	448	408	+ 40
თიანეთის	443	427	+ 16
ზესტაფონის	443	358	+ 85
ჩოხატაურის	441	369	+ 72
წყალტუბოს	435	433	+ 2
ამბროლაურის	431	362	+ 69
ხაშურის	428	335	+ 93
აბაშის	424	413	+ 11
სამტრედიის	420	365	+ 55
ბორჯომის	411	410	+ 1
ზუგდიდის	411	358	+ 53
გაგრის	408	375	+ 33
ონის	402	382	+ 20
ადიგენის	398	379	+ 19
ლანჩხუთის	392	368	+ 24
ქასპის	379	325	+ 54
ლენინგორის	378	349	+ 29
ყაზბეგის	376	289	+ 87
ცხაკაიას	375	367	+ 8
მესტიის	371	347	+ 24
წულუკიძის	367	359	+ 8
ცაგერის	356	339	+ 17
ქედის	329	310	+ 19
ვანის	326	298	+ 28
ქ. ჭიათურა	317	270	+ 47
წალენჯიხის	310	301	+ 9
გეგეჭკორის	301	293	+ 8
ჩხოროწყუს	295	281	+ 14
ხობის	286	286	—
ხულოს	285	277	+ 8
სოხუმის	282	289	— 7
ლენტეხის	282	258	+ 24
გალის	272	303	— 31
ოჩამჩირის	267	293	— 26
შუახევის	260	235	+ 25
გუდაუთის	254	249	+ 5
მაიაკოვსკის	250	250	—

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

შვიდწლედის ადამიანები

ბორის ბამბეულის კომბინატში ყოველდღიურად იზრდება კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელის მოსაპოვებლად მებრძოლთა რიგები. განსაკუთრებით მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ი. კობერიძე და ფ. ლოგანცევა, რომლებმაც ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით 30-30 ათას მეტრზე მეტი ქსოვილი მოქსოვეს. დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ აგრეთვე მქსოველები ე. კიპაროიძე, ე. სამადაშვილი, მეფთილე ნ. ფირსენკო.

გორელი ფეიქრები დაუღალავად ეძებენ და ამოქმედებენ პროდუქციის გამოშვების გადიდების რეზერვებს. ტექნიკური პროგრესისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში არიან რაციონალიზატორები და ნოვატორები. მათ წელს საწარმოს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაუზოგეს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 2 პროცენტით.

სურათზე: გორის ბამბეულის კომბინატის მოწინავე მქსოველი ფ. ლოგანცევა, რომელიც დიდი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებებს და ქსოვს მაღალი ხარისხის ქსოვილს.

ფოტო ა. ტაბატაძისა.

ცოდნა შრომას გვიადვილებს

შესვენებაა. საამქროებში ხმაური შეწყდა. სამუშაო ოთახში მაგიდასთან ზის კომბინატის მთავარი ინჟინრის მოადგილე ს. გოქაძე და ბროშურად გამოცემულ პარტიის XXI ყრილობის მასალებს ფურცლავს. ხან კითხულობს, ხან კი ჩანაწერს აკეთებს ბლოკნოტში. საღამოს სემინარის შემაჯამებელი მეცადინეობაა დანიშნული და ეგზადება.

— იქნებ წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებზე მოითხოვონ საუბარი, — ასეთმა აზრმა გაუელვა თავში სერგოს, — ამ საკითხს ხომ სპეციალურად განიხილავს ივნისში მოწვეული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც პირველი იქნება XXI ყრილობის შემდეგ. მერე და რამდენი რამ აქვს სათქმელი! — ჭარხლის წვნის გამწმენდ საამქროში ხორციელდება წვნის გაწმენდის მთლიანი მექანიზაცია. მარტო ეს 18 კაცის შრომას შეცვლის. დიდი მუშაობაა ჭარხლის გადამმუშავებელ საამქროში. მთლიანად რეკონსტრუირებულ იქნება სარეცხი განყოფილება. ყოველივე ამაზე ილაპარაკებს გოქაძე, იტყვის კარგზე და ცუდზეც...

* * *

საღამოს აგარის შაქრის კომბინატის პარტბიუროს ფართო, ნათელ ოთახში შემაჯამებელი მეცადინეობისათვის შეიკრიბნენ წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის მსმენელები.

შემაჯამებელ მეცადინეობაზე

სემინარის ხელმძღვანელი — კომბინატის პარტბიუროს მდივანი ესტატე ცაბაძე მსჯელობისათვის საკითხებს აყენებს. მეცადინეობა თანდათანობით ცოცხლდება. ყველა აქტიურობს. ისინი მსჯელობენ კომბინატის შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების გზებზე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კომბინატში ტექნიკური პროგრესის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების მდგომარეობას.

ი. ბუჩუკური (კომბინატის მთავარი მექანიკოსის მოადგილე): — შვიდწლიანი გეგმის ამოცანების წარმატებით განხორციელება შეიძლება მხოლოდ ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვით, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გზით. ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტია ამ საქმეს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს განიხილავს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი. ახალი სეზონისათვის მზადების ამ დღეებში კომბინატში მიმდინარეობს სამუშაოები მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესების სრული მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. შაქრის გათეთრება, რაც აქამდე ნახევრადმექანიზებული იყო, ახლა მთლიანად ავტომატიზებული იქნება.

ი. ტაბუცაძე (კომბინატის დირექტორი); ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე დასმული იყო ამოცანა 1972 წლისათვის შაქრის წარმოება აგვეყვანა 9-10 მილიონ ტონამდე წელიწადში. ახლა გადაისინჯა ეს ციფრები და დაისახა ამოცანა, რომ შაქრის წარმოება 10 მილიონ ტონამდე აყვანილ იქნას უკვე 1965 წლისათვის.

ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ კომბინატის შვიდწლიანი გეგმა ხუთ წელიწადში შევასრულოთ ეს თქვენ ყველამ კარგად იცით. მაგრამ რეალური შესაძლებლობიდან გამომდინარეობს თუ არა ეს ვალდებულება? რა თქმა უნდა, ვალდებულება რეალურია. ახალი სეზონისათვის კომბინატის მომზადება, ძველის რემონტი და ახალი მანქანა-დანადგარების დადგმა-დამონტაჟება წარმოებს იმის გათვალისწინებით, რომ კომბინატის წარმოება დღეღამეში გაიზარდოს 3 ათასი ცენტნერი ჭარხლის გადამუშავებით. ეს პატარა საქმე როდია. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ რემონტის ტემპი.

* * *

შემაჯამებელ მეცადინეობაზე ბევრი საქმიანი შენიშვნა და წინადადება წამოაყენეს. პროპაგანდისტმა — პარტბიუროს მდივანმა ამხ. ი. ცაბაძემ შეაჯამა გამოსვლები, აღუთქვა მსმენელებს, რომ პარტბიურო ყველა შენიშვნასა და წინადადებას გაითვალისწინებს.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საზეიმო დაპირება და... სავალალო მდგომარეობა

ვამოწმებთ წყვილნი ვალდებულებათა შესრულებას

ორჯონიკიძის სახელობის შახტი ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ყველაზე ახალგაზრდა საწარმოა. აქ ენერგეტიკული სათბობის დიდი მარაგია. იყო დრო, როცა ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლებოდა ამ შახტის კოლექტივი. მუშაობის მოწინავე მეთოდების გასაცნობად აქ მრავალი დელეგაცია ჩამოდიოდა.

სამწუხაროდ, ახლა ასე როდია. მეშახტეებმა შეანელეს ქვანახშირის ამოღების ტემპი. შახტის ხელმძღვანელები შეეჩვევნენ გადიდებული ვალდებულებების საზეიმოდ აღებას... და პირობის შეუსრულებლობას.

მივმართოთ ფაქტებს. სოციალისტური შეჯიბრებით გათვალისწინებულია წელს გეგმის გადამეტებით ამოიღონ 5.000 ტონა ქვანახშირი, სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა წლიური დავალება შეასრულონ 101 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 1,2 პროცენტით, ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შეამცირონ 1 პროცენტით, გასწიონ 300 ათასი მანეთის ეკონომია.

ეს ვალდებულებები ჯერჯეროობით ქაღალდზე რჩება. შახტმა განვლილ ხუთ თვეში ქვეყანას დააკლო 11 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი. თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმიურთან შედარებით შემცირდა 9 პროცენტით, გაუარესდა ქვანახშირის ხარისხი, ტონა სათბობი გაიაფების ნაცვლად მნიშვნელოვნად გაძვირდა.

რა უშლის შახტის კოლექტივს ხელს ვალდებულებათა შესრულებაში?

ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა. ადმინისტრაციული შენობის შესასვლელთან თვალში მოგხვდებათ ლოზუნგები: „სახელმწიფო გეგმა კანონია“; „მეშახტეებო, იბრძოლეთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის!,“ „შესდექ, შეასრულე თუ არა დღეს დავალება?“ მიმზიდველად არის გაფორმებული სტენდი. აქ მოთავსებულია კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრთა სურათები, მოცემულია მათი მუშაობის მაჩვენებლები. პარტბიუროში და შახტკომში ხშირად მსჯელობენ ამა თუ იმ წამოწყებათა შესახებ, მათ იწონებენ, გამოაქვთ ვრცელი დადგენილებები, მაგრამ ბოლომდე არ მიჰყავთ დაწყებული საქმე, ყველაფერი ეს ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მეშახტეებთან გამოსაუბრებით ირკვევა, რომ შახტისა და საექსპლოატაციო უბნების ხელმძღვანელები არ ქმნიან სათანადო პირობებს ნორმალური მუშაობისათვის. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

მეოთხე უბნის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. ფორჩხიძემ განაცხადა:

— ჩვენი ბრიგადა თავგამოდებით იბრძვის კომუნისტური შრომის სახელის მოპოვებისათვის. ბრიგადის ყოველ წევრს ნაკისრი აქვს ცვლაში ნორმის ზევით ამოიღოს სულ მცირე 2 ტონა ქვანახშირი. ამ ვალდებულების შესრულება ჩვენ შეგვიძლია, მაგრამ ხელს არ გვიწყობენ, დიდ ზიანს გვაყენებს სამშახტო რკინიგზის პროფილის უწესრიგო მდგომარეობა. მეტად გაძნელებულია უბანში ცარიელი ვაგონეტების მოწოდების საქმე. ამ მიზეზებით ბრიგადა ხშირად მომცდარია.

— ჩვენი სანგრევი, — თქვა ამავე უბნის ახალგაზრდა მეშახტემ რ. ჯულაყიძემ, — საშახტო ეკლის პერიფერიებში მდებარეობს. სიშორით შექმნილ სიძნელეებს ემატება უგზოობა. თითქმის ორასი მეტრის სიგრძის სამთო გამონამუშევარში წყალი და ტალახი დგას. დიდი ხანია მოვითხოვთ მასალის სანგრევში შეზიდვის პროცესების მექანიზაციას, მაგრამ ამაოდ. ამისათვის აქ თავს არავინ იწუხებს.

— ამჟამად ქვანახშირის ახალი ლავის მომზადებაზე ვმუშაობ, — დასძინა ახალგაზრდა გამყვანმა ვ. გიორგაძემ, — მაგრამ ჩემი ბურღი დაზიანებულია, საჭიროა მისი შეკეთება. უბნის მექანიკოსი შ. გვენეტაძე კი ჩემს თხოვნას ყოველთვის უყურადღებოდ ტოვებს.

დღის ბოლოს შეაჯამეს უბნის მუშაობის შედეგები. გამოირკვა, რომ უბანმა 77.8 პროცენტით შეასრულა ქვანახშირის ამოღების დღიური დავალება, სახელმწიფოს დააკლო 42 ტონა ქვანახშირი. და განა მარტო ამ უბანმა იმუშავა ცუდად? ცუდად იმუშავეს პირველმა და მესამე უბნებმაც. პირველმა უბანმა ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალება მხოლოდ 50,5 პროცენტით შეასრულა, მესამემ კი — 21,8 პროცენტით.

შახტს განსაკუთრებულ ზიანს აყენებს არარიტმული მუშაობა. თვის დასაწყისში საექსპლოატაციო უბნების უმრავლესობაში იგრძნობა შეუწყნარებელი მოშვებულობა. შუა თვეში მეშახტეები იწყებენ შტურმს. ამას თან სდევს ტექნიკური ექსპლოატაციის წესების უხეში დარღვევა, წესი მუშაობაში.

ყურადღებას არ აქცევენ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა დროულ წარმოებას. მოსამზადებელ სამუშაოთა უბნის კოლექტივი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ვ. ფანჩულიძე ხელმძღვანელობს, სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. უბანს არ გააჩნია კვალიფიციური მუშახელი. ეს დაღს ასვამს როგორც სამთო გამონამუშევართა გაყვანის გეგმის შესრულებას, ისე ხარისხს. ამ უბანმა მხოლოდ თებერვალში შეასრულა საწარმოო დავალება. დანარჩენ თვეებში ჩამორჩა.

თითქმის ყველა საექსპლოატაციო უბანში იგრძნობა შრომის დისციპლინის მოშლა, დღითიდღე მატულობს სამუშაოს უმიზეზოდ გამცდენთა რიცხვი. მაგალითად, იანვარში უმიზეზოდ გაცდენილია 121 კაცდღე, თებერვალში — 159, მარტში — 342, აპრილში — 315, ხოლო მაისში — 963 კაცდღე.

შახტის უფროსი მ. კიკვაძე და მთავარი ინჟინერი ვ. პატარიძე ასახელებენ მრავალ მიზეზს. რომლებსაც, მათი აზრით, შეუძლიათ გაამართლონ შახტის ცუდი მუშაობა. ისინი საყვედურს გამოთქვამენ შახტმშენებელთა მისამართით, რომლებიც შტოლნის ზედა მძლავრ ჰორიზონტს აშენებენ.

— ვენტილაციაც ხელს გვიშლის, — ამბობს ვ. პატარიძე.

— არავინ ზრუნავს ქვანახშირის ფენების დამუშავების პროგრესული მეთოდის — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის დანერგვისათვის, — გულისტკივილს გამოთქვამს მთავარი ინჟინრის მოადგილე ლ. ლუთიძე.

მართლაც, რაც დრო გადის, შახტში მით უფრო მცირდება მოქმედი სანგრევის ხაზი. საჭიროა დაჩქარდეს ახალი ჰორიზონტის მშენებლობა.

დიდი ხანია აგებენ ახალ სავენტილაციო კომპლექსს, მაგრამ მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს.

ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის დანერგვისათვის ბრძოლა — ეს მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლას ნიშნავს. ამ მეთოდის გამოყენება ამცირებს ქვანახშირის დანაკარგებს, სპობს მიწისქვეშა ხანძრებს. შახტის ხელმძღვანელები დიდი ხანია მოითხოვენ ამ სიახლის დანერგვას, მაგრამ მათ მხარს არ უჭერენ. მეორე კვარტალიდან შახტს დაგეგმილი აქვს ქვანახშირის ამოღება ჰიდრავლიკური ვსებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გეგმა ქაღალდზე დარჩება, რადგან დღემდე არ შესდგომიან საესები მასალის დამამზადებელი კარიერის მშენებლობას.

შექმნილი მდგომარეობიდან სერიოზული დასკვნები უნდა გააკეთონ შახტის ხელმძღვანელებმა, მეშახტეებმა. სოციალისტურ ვალდებულებებს თავის მოსაწონებლად როდი იღებენ. ვალდებულება კოლექტივის მტკიცე სიტყვაა, იგი უეჭველად უნდა სრულდებოდეს.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საყურადღებო თვალსაჩინოება

სკკპ XXI ყრილობის მასალების შესასწავლად

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მრეწველობის და განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის განვითარებას, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის, ჩვენი ქვეყნის ძლიერების საფუძველთა საფუძველია. სწორედ ეს საკითხია -საერთო სათაურით — „სოციალისტური მრეწველობის განვითარება“ — გაშუქებული პირველ დიაგრამაში. მარტივის ღუმელის სილუეტზე თვალსაჩინოდ არის გადმოცემული (პროცენტობით) ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდა შვიდი წლის მანძილზე, აქვე მოცემულია ციფრები, თუ რამდენად გაიზრდება მრეწველობის საერთო პროდუქცია.

მეორე დიაგრამაზე ასახულია ჩვენს ქვეყანაში შავი მეტალურგიის და განსაკუთრებით მისი რკინის მადნის ბაზის დაჩქარებული განვითარება, რაც გათვალისწინებულია შვიდწლიანი გეგმით.

ალბომის შემდეგი დიაგრამები თანმიმდევრულად ასახავენ აგრეთვე ქიმიური მრეწველობის, სათბობის მრეწველობის, ელექტროფიკაციის, მანქანათმშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას, ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სახალხო განათლების შემდგომ გაუმჯობესებას ჩვენს ქვეყანაში.

ახალი სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ამ დღეებში გამოსცა ილუსტრირებული დიაგრამა — ალბომი — „კომუნიზმის შშენებლობის საბრძოლო პროგრამა“. ალბომი, რომელიც 21 დიაგრამისაგან შედგება, კარგად არის გაფორმებული. იგი წარმოადგენს თვალსაჩინო სახელმძღვანელოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების მიხედვით.

ფიქალის ფხვნილი

თელავი. (საკ. კორ.). მდინარე ინწობის ხეობაში (ყვარლის რაიონი) დღეღამ არ წყდება მექანიზმების ხმაური. აქ „შავი მთებიდან“ იღებენ ფიქალს, ტეტრიტავენ ავტომანქანებზე და თელავის ფიქალ-ფხვნილის ქარხანაში გზავნიან. ეს ქარხანა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავეა.

ქარხანამ ვადაზე ადრე შეასრულა ხუთი თვის დავალება. კრასნოდარისა და სლავიანსკის რუბეროიდის ქარხნებში გააგზავნეს 5.900 ტონა ფიქალი ნაცვლად 5.120 ტონისა.

ქარხანაში დამთავრდა ფიქალის ფერადი ფხვნილის დამამზადებელი საამქროს მოწყობა. სულ მალე თელავიდან ფერადი ფხვნილით დატვირთული ვაგონების ეშელონები დაიძრება.

საზოგადოებრივი კვების განვითარებისათვის

საგჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის გაფართოება და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა პროდუქციის ფასების შემცირება.

სკკპ XXI ყრილობის რეზოლუციიდან

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ საბჭოთა ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის და ამ მიზნით სისტემატურად ახორციელებენ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

საბჭოთა ხალხის ცხოვრების პირობების განუხრელად გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის მშობლიური მზრუნველობის ერთ-ერთი გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 თებერვლის დადგენილება საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს შესაბამისი დადგენილება საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ ჩვენს რესპუბლიკაში. დადგენილებაში ჰოცემულია კონკრეტული, ამომწურავი ღონისძიებანი ამ დარგში, რესპუბლიკის შესაძლებლობათა მაქსიმალური გათვალისწინებით.

უკანასკნელი წლების განმავლობაში რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი რაოდენობით გახსნილია რესტორანები, სასადილოები, კაფეები და სასაუზმეები. მაგრამ საზოგადოებრივი კვების წამოწყებათა რიცხვი სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად 1959-1965 წლებში სახელმწიფო ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი რესპუბლიკაში უნდა გაიზარდოს, როგორც მინიმალური, 780 ერთეულის რაოდენობით და საჯდომი ადგილების რაოდენობა უნდა გადიდდეს 39.0 ათასი ერთეულით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ავტომატ-სასაუზმეებისა და კაფეების ქსელის ფართოდ განვითარებას. შვიდწლედის განმავლობაში გათვალისწინებულია გაიხსნას 80-ზე მეტი ავტომატ-სასაუზმე, კაფე და ლუდის დარბაზი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები ყოველგვარ ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ საზოგადოებრივი კვების წამოწყებებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ კერძების ხარისხი და გააფართოონ მათი ასორტიმენტი. შვიდწლედის ბოლოს სახელმწიფო ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების ბრუნვაში საკუთარი პროდუქციის ხვედრითი წონა აყვანილ უნდა იქნას 55 პროცენტამდე, უახლოეს ორ წელიწადში ბოსტნეულის მეორე კერძების დონე — 18 პროცენტამდე, ხოლო თევზის მეორე კერძებისა — 9,5 პროცენტამდე.

პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა თანახმად, შვიდწლედის განმავლობაში მნიშვნელოვნად უნდა იქნას დაკლებული ფასები საზოგადოებრივი კვების პროდუქციაზე. წარმოების ხარჯების შემცირებით და ამის შედეგად ფასების დაკლების მიზნით განხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 1959-61 წლებში სასადილოები, რესტორანები, კაფეები, სასაუზმეები და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოები გადაყვანილ იქნას ნახევარფაბრიკატებით მუშაობაზე.

წარმოების ხარჯების შემცირებისა და ამის საფუძველზე კერძების ფასების დაკლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა პროდუქტების ცენტრალიზებული დამუშავების შემოღება, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და მომხმარებელთა მომსახურების ახალი პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვა. საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობების განვითარება და მათგან დამატებითი პროდუქციის მიღება.

კვების გაიაფებისა და მომსახურების გაუმჯობესებისათვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ სამრეწველო საწარმოებსა და სხვა დაწესებულებებს, თუ ისინი იკრებენ მათთან არსებული საზოგადოებრივი კვების საწარმოების, სასადილოების საწვავი მასალებითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფას, რაც კერძების გაიაფების ერთ-ერთი პირობაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად, თბილისში 1960 წელს აშენდება ხილბოსტნეულის კომბინატი, რომლის საწარმოო სიმძლავრე იქნება 1.000 ტონა წელიწადში, და კარტოფილ-ხილბოსტნეულ საცავი 1.500 ტონის ტევადობისა. 1960 წელს თბილისში აგრეთვე მწყობრში ჩადგება ნახევარფაბრიკატების დამამზადებელი მსხვილი საწარმო, რომელიც მომსახურებას გაუწევს საზოგადოებრივი კვების საწარმოებს. ამას გარდა 1959 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედ კარტოფილ - ბოსტნეულსაცავებში მოეწყობა კარტოფილისა და ბოსტნეულის დასახარისხებელი და გასაწმენდი საამქროები.

ფართოდ იქნება დანერგილი მოსახლეობის მომსახურების პროგრესული მეთოდები. 1959 წელს შემდგომი გადახდის მეთოდზე სახელმწიფო ვაჭრობაში გადაყვანილი იქნება 88 საწარმო, შინ სადილების გაცემა (ათას კერძობით) გაიზრდება 3.035-ით, ნახევარფაბრიკატების, ულენარიული და საკონდიტრო ნაწარმის გაყიდვა (ათას ულუფობით) მიაღწევს 11.680-ს, აბონემენტების გაყიდვა გაიზრდება 1.230 ათასამდე.

ძირეულად უნდა გარდაიქმნას და გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი კვებისათვის კადრების მომზადება. საჭიროა სავაჭრო-კულინარიული სკოლის საფუძველზე შეიქმნას პროფესიული სავაჭრო-კულინარიული სკოლა, რომელიც მოამზადებს სათანადო სპეციალისტებს საზოგადოებრივი კვებისათვის. აუცილებელია აგრეთვე თბილისში შეიქმნას ტექნიკური ტექნოლოგიური განყოფილებით საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტების მოსამზადებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილების შემდეგ რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით და დახმარებით უკვე განახორციელეს ზოგიერთი ღონისძიება. გაიხსნა საზოგადოებრივი კვების ახალი საწარმოები, ბევრი მათგანი გადაყვანილია მომსახურების ახალ პროგრესულ მეთოდებზე, მიღებულ იქნა ზომები ნახევარფაბრიკატების წარმოების გაუმჯობესებისათვის. გაიხსნა ნახევარფაბრიკატების ახალი მაღაზიები, მათ შორის თბილისში.

იმ დიდი ამოცანების შესრულება, რომლებიც ჩვენს წინაშე პარტიამ და მთავრობამ საზოგადოებრივი კვების შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების დარგში დასახეს, მოითხოვს საზოგადოებრივი კვების ყველა მუშაკის ენერგიულ, კეთილსინდისიერ მუშაობას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ განხორციელდება საზოგადოებრივი კვების საწარმოებისადმი ხელმძღვანელობა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი კვების ყველა მუშაკი და ყველა ხელმძღვანელი კეთილსინდისიერად როდი ეკიდება დავალებულ საქმეს. მიუხედავად ნახევარფაბრიკატების წარმოების და საბაკვების საწარმოების მომარაგების დიდი მნიშვნელობისა, ამ საქმეს ჯეროვნად ვერ ხელმძღვანელობენ თბილისის მარცხენა და მარჯვენა ნაპირის და რუსთავის სასადილოების ტრესტები. თბილისის მარცხენა ნაპირის სასადილოების ტრესტმა მოაწყო ნახევარფაბრიკატების დიდი საწარმო, მაგრამ ყურადღება არ მიექცია ამ საწარმოს მუშაობის სწორ ორგანიზაციას, სრულიად დატვირთვით არ აამუშავა იგი.

საზოგადოებრივი კვების ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ ხშირია მომხმარებელთა არაგულისხმიერი დამოკიდებულების და ზოგჯერ პირდაპირი უხეშობის შემთხვევები. საზოგადოებრივი კვების ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ მოკალთაბელი არიან არაკეთილსინდისიერად მომუშავე პირები, რომლებიც ეწევიან უფაქტურო პროდუქტებით ვაჭრობას, ატყუებენ მომხმარებლებს ფასებში, არღვევენ დადგენილ სანიტარულ წესებს, ხოლო სასადილოების ბევრი ტრესტის ხელმძღვანელები საკმარის კონტროლს არ უწევენ მათს მუშაობას. ამ მხრივ სერიოზული დარღვევები აღმოჩნდა საქართველოს რკინიგზის რესტორანების ტრესტის სისტემაში (ამჟამად ამხ. კანზაველი). მისი ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სავაჭრო ქსელში წესრიგის დამყარებას. საზოგადოებრივი კვების განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის სათანადო ღონისძიებებს ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ახორციელებენ აფხაზეთისა და აჭარის სსრ ვაჭრობის სამინისტროები, ქუთაისის სასადილოების ტრესტი და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციები.



საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის ზრდა შვიდწლედში.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და მისი სისტემის ყველა სავაჭრო ორგანიზაცია ვალდებენ წარმატებით განახორციელონ პარტიისა და მთავრობის დადგენილება, შემდგომ გაუჯობესებენ საზოგადოებრივ კვებას, მაქსიმალურად გააძლიერებენ ბრძოლას ყოველგვარ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ და გადაჭრით აამაღლებენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მომსახურებას საზოგადოებრივი კვებით.

მ. ღვინჯილია,
საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მშენებლობა

მეტი ინიციატივა, მეტი გაქანება

შუახევის რაიონის ადგილობრივმა საბჭოებმა უკანასკნელი არჩევნების შემდეგ მუშაობა გააუმჯობესეს. ახლა აღმასკომები უფრო ღრმად სწვდებიან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის შემდგომი განვითარების საკითხებს. საბჭოების მუშაობაში ჩაბმულია სოფლის მრავალრიცხოვანი აქტივი. სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა უკეთ მოაწყეს კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება.

ჭვანის სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ს. ქარცივაძე) დროულად აყენებს აღმასკომის სხდომებსა და საბჭოს სესიებზე განსახილველად სოფლის ცხოვრების მომწიფებულ საკითხებს. ამ საკითხების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები და მუდმივი კომისიების წევრები. სასოფლო საბჭოს აღმასკომის ინიციატივით 1957-1958 წლებში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა შვიდწლიანი სკოლის 3 შენობა და ერთი სასკოლო ინტერნატი.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ წყლისაყრის, ბარათაულის, სხალთის, დღვანის სასოფლო საბჭოები და მათი აღმასკომები. ამ სასოფლო საბჭოებში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, უგულებელყოფილია დეპუტატთა აქტივის ძალა, ისინი ჩაბმული არ არიან მუშაობაში. სესიებსა და აღმასკომების სხდომებს დამაკმაყოფილებლად ვერ ამზადებენ, სუსტად ამოწმებენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

წყლისწყაროს სასოფლო საბჭოში (თავმჯდომარე მ. ქათამაძე) სესიის ჩაშლის შემთხვევებია. სასოფლო საბჭოს აღმასკომი სუსტად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობას, კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულებას, სკოლების მუშაობას და სხვ. საკმარისია ითქვას, რომ წყლისწყაროს საბჭოში შემავალი 5 კოლმეურნეობიდან შარშან არც ერთს არ შეუსრულებია თამბაქოს აღების გეგმა, აგრეთვე წველადობის დავალებანი.

კულტურული დაწესებულებებისა და სკოლების მშენებლობისათვის არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ დღვანის სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე მ. ფუტკარაძე) და მისი აქტივი. აქ წლობით ჭიანურდება სკოლის მშენებლობა.

საბჭოების როლის ზრდასთან ერთად ამ უკანასკნელ ხანს ამაღლდა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა როლი და ავტორიტეტი. სასოფლო საბჭოს დეპუტატები სისტემატურად აბარებენ ანგარიშს თავიანთ ამომრჩეველებს. დეპუტატთა ანგარიშების ჩაბარება საქმიან ვითარებაში ხდება. მაგალითად, 1958 წლის დასაწყისში ჭვანის სასოფლო საბჭოს სოფელ ახალდაბის ამომრჩეველებმა ამავე საბჭოს თავიანთ დეპუტატებთან ო. და დ. ზოიძეებთან შეხვედრისას დააყენეს საკითხი, რომ სოფელ ახალდაბაში აეგოთ და გაეხსნათ შვიდწლიანი სკოლა. ეს თხოვნა განიხილა სასოფლო საბჭოს აღმასკომმა. ამ უკანასკნელმა კი საკითხი დააკა შუახევის რაიაღმასკომში. რაიაღმასკომმა ამ სოფლის ამომრჩეველთა მოთხოვნა დააკმაყოფილა, ახალდაბაში აგებულია და მუშაობს შვიდწლიანი სკოლა. ამომრჩეველებს ანგარიშს აბარებენ აგრეთვე შუახევის რაისაბჭოს დეპუტატები.

დეპუტატი ხალხის მსახურია. მაგრამ ეს ჯერ კიდევ სავსებით არა აქვს შეგნებული ჩვენი რაიონის ზოგიერთი სასოფლო სასოფლო საბჭოს დეპუტატს. მაგალითად, დღვანის სასოფლო საბჭოში დეპუტატები იშვიათად აბარებენ ანგარიშს. ასეთივე მდგომარეობაა ბარათაულისა და წყლისაყრის სასოფლო საბჭოებში.

სასოფლო-სამეურნეო და კულტურული მუშაობის სწორად წარმართვა დიდად არის დამოკიდებული სასოფლო საბჭოების აღმასკომებზე. ამ მხრივ გარკვეული წარმატებები აქვთ ოლადაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ო. ფუტკარაძე). იგი სისტემატურად ისმენს კოლმეურნეობების გამგეობათა მუშაობის ანგარიშებს, ეხმარება მათ მუშაობაში. ამის შედეგად კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვთ მუდმივ კომისიებს. შუახევის რაიონული და სასოფლო საბჭოების მუდმივ კომისიებში გაერთიანებულია 170-ზე მეტი დეპუტატი, გარდა ამისა, კომისიებში ჩაბმულია 308 აქტივისტი. ნაყოფიერად მუშაობენ ჭვანის სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების (თავმჯდომარე დეპუტატი მ. ქარცივაძე) და სახალხო განათლებისა და კულტურის (თავმჯდომარე დეპუტატი ე. ნაკაიძე) მუდმივი კომისიები. ისინი სისტემატურად სწავლობენ ადგილებზე საკითხებს და მათ აყენებენ სესიებზე ან აღმასკომის სხდომებზე. მაგალითად, ამ საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის კარგი მუშაობის შედეგად სასოფლო საბჭოს სკოლები მომზადებული შეხვდნენ სასწავლო წელს, რისთვისაც საბჭოს მიეკუთვნა პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი დროშა.

მუდმივი კომისიების მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. ეს კომისიები ბევრ სასოფლო საბჭოში ფორმალურად არსებობენ. სხალთის სასოფლო საბჭოში შემავალი სკოლები ცუდად მოემზადნენ ზამთრისათვის. ბევრ სკოლაში უხარისხოდ შესრულდა შენობის კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. მაგრამ განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე მ. მიქელაძე) ამით არ დაინტერესებულა.

შუახევის რაიონის ადგილობრივი საბჭოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით რაიონის მშრომელთა წინაშე დასახული დიდი ამოცანები წარმატებით შესრულდეს.

ვ. წულუკიძე,
შუახევის მშრომელთა დეპუტატების რაბჭისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ტექნიკური ლიტერატურის სამყაროში

წიგნი შვიდწლედის ერთ-ერთ უგანზე

შვიდწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებების ეფექტურად გამოყენებას, კერძოდ რკინიგზების ელექტროფიკაციას და რაციონალურად ექსპლოატაციას. ამ აქტუალურ თემას ეშუქებს გ. გოშაძის წიგნი — „ამერიკაკავკასიის რკინიგზის მშენებლობის, ელექტროფიკაციისა და ექსპლოატაციის საკითხისათვის", რომელიც გამოსცა „საბჭოთა საქართველომ".

ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ამერიკაკავკასიის რკინიგზის გაყვანამ ხელი შეუწყო ამერიკაკავკასიაში მცხოვრებ ხალხთა სამეურნეო და კულტურულ დაახლოებას, როგორც ამერიკაკავკასის ხალხებს შორის, ისევე აზიისა და ევროპის ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის განვითარების დაჩქარებას.

ნაშრომში ხაზგასმით არის აღნიშნული ამერიკაკავკასიის რკინიგზის საერთოსახელმწიფოებრივი და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის რკინიგზების ქსელში. დიაგრამით ნაჩვენებია ამერიკაკავკასიის რკინიგზით გადაზიდული ტვირთების რაოდენობა 1871-1957 წლებში. ავტორი სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებას და რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობის პერსპექტივებს მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან.

ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს ამერიკაკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის საკითხებს და სწორად აღნიშნავს, რომ ელექტროწევამ დიდი როლი შეასრულა ბარბაროსულ ბალკანეთ-ამერიკაკავკასიის რკინიგზის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში.

ნაშრომის ცენტრალური საკითხია ახალი ტექნიკის დანერგვა და გამოყენება, კერძოდ ამერიკაკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის ეფექტურობა როგორც მთლიანად, ისევე მისი ცალკეული უბნების მიხედვით. ნავთლუღ-სოფანლუღის რკინიგზის უბნის კონკრეტულ მაგალითზე გაანგარიშებულია ელექტროფიკაციის ეკონომიური ეფექტურობა. რკინიგზის ამ უბნის ელექტროფიკაციამ წლიური საექსპლოატაციო ხარჯები 159.411 მანეთით შეამცირა, ხოლო მისი ელექტროფიკაციისათვის 693 ათასი მანეთი დაიხარჯა.

ავტორი რკინიგზის ელექტროფიკაციის ეფექტურობის არკვევს აგრეთვე ზესტაფონ-ჭიათურა-დარკვეთის უბნის მაგალითზე და აღნიშნავს, რომ ზესტაფონ-ჭიათურის რკინიგზის ნაწილ ელექტროწევაზე გადასვლის შემდეგ გადაზიდვის თვითღირებულება თითქმის ექვსჯერ შემცირდა. ელექტროფიკაციისა და ფართოლიანდაგიანი ხაზის გაყვანის შედეგად მიღებული ეკონომია 22 მილიონ მანეთს შეადგენს.

ნაშრომში ვრცლად არის განხილული საკითხი ამერიკაკავკასიის რკინიგზის ელექტროწევის ეკონომიური ეფექტურობის ამაღლების შესაძლებლობებისა და რეზერვების შესახებ. რკინიგზის წევის ეკონომიური ეფექტურობის გადიდების არსებითი პირობაა შრომის ნაყოფიერების ამაღლება. შვიდწლიანი გეგმით ამერიკაკავკასიის რკინიგზაზე შრომის ნაყოფიერება 1957 წელთან შედარებით 28,4 პროცენტით უნდა გადიდდეს.

ამერიკაკავკასიის რკინიგზის თავისებურებათა შესწავლის საფუძველზე ნაშრომში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი რეკუპერაციული დამუხრუჭების როგორც ეკონომიური ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის ფართო გამოყენების. როგორც ცნობილია, ამერიკაკავკასიის ელექტროფიცირებული ხაზების დიდი ნაწილი მთიან რაიონებში გადის, რის გამო რეკუპერაციული დამუხრუჭების გამოყენებით შესაძლებელია წლის განმავლობაში ელექტროენერგიის ხარჯი 40 მილიონ კილოვატ-საათით შემცირდეს.

წიგნში ფართოდ არის გაშუქებული ის ღონისძიებები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტროწევის ეკონომიური ეფექტურობის ამაღლებაში. წამოყენებულია სხვა პრაქტიკული წინადადებები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ტვირთების გადაზიდვის თვითღირებულების შემცირებას.

გ. გოშაძის წიგნი დადებითი მოვლენაა ქართულ ეკონომიურ ლიტერატურაში.

გ. ადეიშვილი,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ორი კოლმეურნეობის შეჯიბრება

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ქმებო ოშორელებო!", „წარმატებით განვახორციელოთ შვიდწლიანი გეგმა!", „უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას!" — ასეთი ლოზუნგებით იყო მორთული ახალქალაქის რაიონის სოფელ დიდი სამსარის კოლმეურნეობის კანტორის ფასადი, როცა სამსარელებს ახმინის რაიონის სოფელ ოშორის კოლმეურნეობის წევრთა წარმოგზავნილები ესტუმრნენ.

მეოთხე წელია ამ ორი კოლმეურნეობის მშრომელები ერთმანეთს ეჯიბრებიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში. შარშან შემოდგომით ოშორელებს სამსარელი კოლმეურნეები ესტუმრნენ, ამას წინათ კი სამსარელებმა გაუწიეს მასპინძლობა ქართველ მეგობრებს.

კოლმეურნეთა კრებაზე, რომელიც დიდ სამსარში გაიმართა, ჯანხილეს ორივე კოლმეურნეობის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების გასული წლის შედეგები და გაფორმების შვიდწლიანი სკოლისათვის იგგება ტაიტური შენობა და ის საექსპლოატაციოდ გადაეცემა ბუნებრივად უჩვენა გმირთა თავგადასავალი, მათი ყოფაცხოვრება, ხასიათი, ახალი ადამიანის მაღალზნეობრივი თვისებები.

პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირი ანდრია, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შახტებში სამუშაოდ წავიდა, ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობის ტიპიური წარმომადგენელია. მშრომელი, მეოცნები, პოეზიის მოყვარული, მამაცი მონადირე, სპეტაკი სიყვარულით გატაცებული — ასეთი იყო ანდრია სიმწიფის ატესტატის მიღებისას, ასეთივე დარჩა იგი შახტებში მუშაობის დროსაც. უფრო მეტიც. შრომამ იგი აღამაღლა, უფრო შინაარსიანი და მრავალფეროვანი გახადა მისი ცხოვრება.

„ხმა გულისა" როდია „ერთი გმირის" პიესა. ანდრიას მხარს უმშვენებენ მისი თანატოლები — ახალგაზრდა მეშახტეები. ისინიც მიგიდნენ შახტებში სიმწიფის ატესტატებით, კომკავშირის მიერ აღზრდილნი და თან მოიტანეს ხალისი და ენთუზიაზმი.

სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართული კოლექტივის ეს პიესა დიდი სიყვარულით დაუდგამს. რეჟისორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ლ. პეტიამ შექმნა საინტერესო სპექტაკლი, რომელშიც მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა.

სპექტაკლში ძირითადად ახალგაზრდა აქტიორები მონაწილეობენ. ვ. ნეფარიძე, ქ. დოლიძე, თ. ელბაქიძე, ა. ბეგიაშვილი, ვ. სალაყაია, გ. ფოჩხუა, გ. წოფორია, ლ. ფილფანი, ჯ. გაგნიძე, ი. წარეთელი, ნ. გეგენავა, ნ. მასხარელია და სხვები თავიანთ როლებს ახალგაზრდული ენთუზიაზმით ასრულებენ და იგი რძნობა შემოქმედებითი აღმავლობა.

* * *

სოხუმის სახელმწიფო თეატრიდან უკანასკნელ წლებში ბევრი ნიჭიერი მსახიობი წავიდა. ისინი შეცვალეს ახალგაზრდა ძალებმა, უმთავრესად თეატრული ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა. მათ შორის ბევრია ნიჭიერი და შრომისმოყვარე მსახიობი, რომლებმაც მოკლე დროში არაერთი საინტერესო მხატვრული სახე შექმნეს. თეატრმა მათ უნდა შეუქმნას შემოქმედების ხელსაყრელი პირობები, ბოლო უნდა მოუოროს მსახიობთა განოწყობილებ დენადობას. მაშინ სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართული კოლექტივი კიდევ უფრო აამაღლებს თავის შემოქმედებითს მხატვრულ დონეს, სრულად დაკმაყოფილებს მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებას. თეატრის ნიჭიერ და მზარდ კოლექტივს ამისათვის ყველა მხატვრული მონაცემი აქვს.

გ. თათარიშვილი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ხმა გულისა" (მარცხნიდან) მსახიობი ვ. ნეფარიძე (ჟერონა) და მსახიობი ლ. ფილფანი (ანდრია).

ფოტო ვ. ტარახოვისა.

მზარდი, შემოქმედებითი...

სოხუმის თეატრის ორი სპექტაკლი

სოხუმის სახელმწიფო თეატრს საინტერესო შემოქმედებითი ტრადიცია აქვს. აქ ათეული წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობს თეატრის აფხაზური და ქართული კოლექტივები.

თბილისელ მაყურებელს კარგად ახსოვს სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური კოლექტივის მთავარი რეჟისორის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ა. აგრბას და რეჟისორის — საქართველოს სსრ სახალხო არტისტის შ. ფაჩალიას მიერ დადგმული სპექტაკლები „გუნდა", „ღალატი" და „ოტელო", რომლებიც ნაჩვენები იყო აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე თბილისში. ეს დადგმები გამოირჩეოდნენ მიგნებული შემოქმედებითი ფანტაზიითა და რეჟისორული გამომგონებლობით, საინტერესო მიზან-სცენებით, მოქმედების დინამიკურობითა და ბუნებრიობით.

შეუძლებელია ნახოთ სოხუმის თეატრის აფხაზური კოლექტივის დადგმა „ოტელო", რომ თქვენს მეხსიერებაში ღრმად არ ჩაიბეჭდოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ლ. კასლანდიას მიერ საოცხოდ განსახიერებული როლი კეთილშობილი მავრისა, რაც თეატრის ახალგაზრდა აფხაზური კოლექტივის უთუოდ სერიოზული გამარჯვებაა.

თავიანთი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობით მაყურებლის სიყვარული დაიმსახურეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა რ. აგრბამ, ა. აბგაზნამ, მ. ზუხბამ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა ე. ლაკრბაიამ, მ. ქოვემ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოავლინეს თავიანთი აქტიორული შესაძლებლობანი თანამედროვეობის თემებისადმი მიძღვნილ სპექტაკლებში.

მამდენარე თეატრალურ სეზონში აფხაზურმა დრამამ მაყურებელს უჩვენა რამდენიმე ახალი დადგმა. მათ შორის აღსანიშნავია სპექტაკლი

„ეკლიან გზაზე"

გ. რადინას თავის პიესაში „ეკლიან გზაზე" განუზრახავს დაეხატა აფხაზი ადამიანების ცხოვრებაში ოდითვე ჩადუღაბებული ადათები და ზნე-ჩვეულებანი, მათი უარყოფითი და დადებითი მხარეები, ახლის, მზარდის ბრძოლა ძველთან — დრომოჭმულთან, ცხოვრების შემფერხებელ მოვლენებთან.

ამ მიტომ საჭირო და საინტერესო კონფლიქტის — ახლისა და ძველის დაპირისპირების საშუალებით დრამატურგს სურს მაყურებელს უჩვენოს ადამიანის ხასიათის გარდაქმნაში თანამედროვე ცხოვრების სიდიადის ძალა და ძალერება. მართალია, პიესის ავტორი საბჭოთა დრამატურგიის მიერ საკმაოდ გაკალული გზით მიდის — არც კონფლიქტია ახალი, არც მიი გადაწყვეტის ხერხები, მაგრამ რამდენადაც პიესაში შედარებით სრულყოფილად არის ასახული აფხაზი ადამიანების ცხოვრება, მათი ადათები და ზნე-ჩვეულებანი და მიღწეულია ახლის, მზარდის გამარჯვება ძველ, დრომოჭმულ ყოფასთან ბრძოლაში, სპექტაკლი მიზანს აღწევს.

სპექტაკლში არის ისეთი სცენები, რომლებმაც არ შეიძლება არ დაიინტერესოს მაყურებელი. მოქმედ პირთა ხასიათები, მათი ურთიერთობა, ქცევა და განცდები საინტერესო დრამატული ხერხებით არის გადაწყვეტილი. მაყურებელი მღელვარედ ადევნებს თვალყურს ამბის განვითარებასა და გმირთა თავგადასავალს.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ გ. სულიკაშვილს. მიუხედავად იმისა, რომ პიესა რამდენადმე ფრაგმენტულია, რეჟისორს მოუნახავს მოქმედების მთავარი ძაფი, განუვითარებია იგი და ორგანიზალურად, დამაჯერებლად გადაუწყვეტია.

აღსანიშნავია მხატვრის გ. მარტიროსიანის ჩანაფიქრი. განსაკუთრებით მიმზიდველია სოხუმის პიონერია, რომელიც პირველი სურათიდანვე განსაზღვრავს მოქმედების ადგილს, დროს და სპექტაკლს მიზანდასახულებას. რეჟისორის კარგ ჩანაფიქრს ხორცი შეასხეს, გააცოცხლეს და სცენაზე კარგი მხატვრული სახეები შექმნეს მსახიობებმა ნ. ავიძბამ (მწერალი არშბა), მ. ხუზბამ (მაკტინა), ა. არგუნ-კოშენოკოვა (ყამა), ნ. ჩიქოვანმა (ხაჯარათი), ნ. რუჟანსკაიამ (საიდა), შ. ფაჩალიამ (ბაგრატი) და სხვებმა.

სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო. მასში ძირითადად მონაწილეობენ სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური კოლექტივის ახალგაზრდა აქტიორები. სასურველია ამ მზარდმა თეატრალურმა კოლექტივმა უფრო მჭიდრო კავშირი იქონიოს ახალგაზრდა აფხაზურ დრამატურგიასთან და თავისი რეპერტუარი გაამდიდროს თანამედროვეობის კიდევ უფრო აქტუალური თემების ამსახველი პიესებით. მაშინ თეატრის შემოქმედებითი სახეც უფრო გამრავალფეროვანი იქნება და მაყურებელიც მეტი ინტერესით დაესწრება სპექტაკლებს.

* * *

სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართული კოლექტივის მიმდინარე სეზონის დადგმებიდან ჩვენ ვნახეთ გ. ქელბაქიანის

„ხმა გულისა"

...ახალგაზრდებმა საშუალო სასწავლებელი დაამთავრეს, სიმწიფის ატესტატი მიიღეს. მათ წინაშე წამოიჭრა უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი: რა გზას უნდა დაადგნენ, როგორი უნდა იყოს მათი პირველი ნაბიჯები?

ამ ფრიად აქტუალური თემისადმი მიძღვნილი გ. ქელბაქიანის პიესა „ხმა გულისა".

დრამატურგმა თავის პიესას საფუძვლად დაუდო ის დიდი სიახლენი, რომლებიც ამჟამად, პარტიის XXI ყრილობის შემდეგ, იგრძნობა ჩვენს სკოლებში, უჩვენა ჩვენი ახალგაზრდობის მჩქეფარე ცხოვრების მართალი სურათები.

პიესა მიძღვნილია მეშახტეთა ცხოვრებისადმი და წარმოადგენს ქართველ საბჭოთა დრამატურგიაში ჩვენი მრეწველობის ამ მიტად საინტერესო დარგის მხატვრულად ასახვის პირველ სერიოზულ ცდას. ამდენად სპექტაკლი თავისუფალი როდია ნაკლოვანებებისაგან. ბევრი რამ სადავოა. მაგალითად, პიესაში გვხვდება ზედმეტი ეპიზოდები, ზოგი სცენა (კერძოდ პირველი მოქმედება) გაჭიანურებულია, შედარებით სუსტია ფინალი.

მიუხედავად ამისა, სპექტაკლი მაყურებელმა მოიწონა. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ დრამატურგმა აქტიურ თემას შესაფერი სიუჟეტური გადაწყვეტა მოუნახა, შეულამაზებლად, ბუნებრივად უჩვენა გმირთა თავგადასავალი, მათი ყოფაცხოვრება, ხასიათი, ახალი ადამიანის მაღალზნეობრივი თვისებები.

პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირი ანდრია, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შახტებში სამუშაოდ წავიდა, ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობის ტიპიური წარმომადგენელია. მშრომელი, მეოცნები, პოეზიის მოყვარული, მამაცი მონადირე, სპეტაკი სიყვარულით გატაცებული — ასეთი იყო ანდრია სიმწიფის ატესტატის მიღებისას, ასეთივე დარჩა იგი შახტებში მუშაობის დროსაც. უფრო მეტიც. შრომამ იგი აღამაღლა, უფრო შინაარსიანი და მრავალფეროვანი გახადა მისი ცხოვრება.

„ხმა გულისა" როდია „ერთი გმირის" პიესა. ანდრიას მხარს უმშვენებენ მისი თანატოლები — ახალგაზრდა მეშახტეები. ისინიც მიგიდნენ შახტებში სიმწიფის ატესტატებით, კომკავშირის მიერ აღზრდილნი და თან მოიტანეს ხალისი და ენთუზიაზმი.

სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართული კოლექტივის ეს პიესა დიდი სიყვარულით დაუდგამს. რეჟისორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ლ. პეტიამ შექმნა საინტერესო სპექტაკლი, რომელშიც მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა.

სპექტაკლში ძირითადად ახალგაზრდა აქტიორები მონაწილეობენ. ვ. ნეფარიძე, ქ. დოლიძე, თ. ელბაქიძე, ა. ბეგიაშვილი, ვ. სალაყაია, გ. ფოჩხუა, გ. წოფორია, ლ. ფილფანი, ჯ. გაგნიძე, ი. წარეთელი, ნ. გეგენავა, ნ. მასხარელია და სხვები თავიანთ როლებს ახალგაზრდული ენთუზიაზმით ასრულებენ და იგი რძნობა შემოქმედებითი აღმავლობა.

* * *

სოხუმის სახელმწიფო თეატრიდან უკანასკნელ წლებში ბევრი ნიჭიერი მსახიობი წავიდა. ისინი შეცვალეს ახალგაზრდა ძალებმა, უმთავრესად თეატრული ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა. მათ შორის ბევრია ნიჭიერი და შრომისმოყვარე მსახიობი, რომლებმაც მოკლე დროში არაერთი საინტერესო მხატვრული სახე შექმნეს. თეატრმა მათ უნდა შეუქმნას შემოქმედების ხელსაყრელი პირობები, ბოლო უნდა მოუოროს მსახიობთა განოწყობილებ დენადობას. მაშინ სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართული კოლექტივი კიდევ უფრო აამაღლებს თავის შემოქმედებითს მხატვრულ დონეს, სრულად დაკმაყოფილებს მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებას. თეატრის ნიჭიერ და მზარდ კოლექტივს ამისათვის ყველა მხატვრული მონაცემი აქვს.

გ. თათარიშვილი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ხმა გულისა" (მარცხნიდან) მსახიობი ვ. ნეფარიძე (ჟერონა) და მსახიობი ლ. ფილფანი (ანდრია).

ფოტო ვ. ტარახოვისა.

კეთილშობილური წამოწყება

სასკოლო ცხოვრება

სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის დარაზმული საქართველოს მშრომელები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული სასკოლო განათლების ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის წარმატებებით განხორციელებით. კომუნიზმის მშენებელი ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლების საქმის ახლებურად გარდაქმნის მიზნით შემუშავებული დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც ამჟამად ჩვენში ხორციელდება, იქითკენ არის მიმართული, რომ სწავლების სასარგებლო შრომასთან შეერთების გზით რაც შეიძლება დროოდან გადავიდეთ „...ყოველმხრივ განვითარებული და ყოველმხრივ მომზადებული ადამიანების აღზრდაა, სწავლებასა და მომზადებაზე, ადამიანებსა, რომლებსაც ყველფრის გაკეთება ეცოდინებათ" (ვ. ი. ლენინი).

საბჭოთა სკოლის წინაშე დასმული ამ ახალი ამოცანების შესრულებით გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად სასწავლო-საადმრდელო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივ განმტკიცებას. ამ საქმეში კი ფართო საზოგადოებრიობა უნდა ჩაებას. საამისოდ ჩვენში საკმაოდ მდიდარი ტრადიცია შექმნილი. ამას მეტყველებს სკოლების ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადასაყვანად 1958-1959 სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში ქობულეთის რაიონის მშრომელთა მოწოდების პასუხად გაწეული მუშაობის შედეგები. ქობულეთელთა ამ კეთილშობილური მაგალითისაგან რესპუბლიკის მოწინავე კოლეგურნეობებმა და საწარმო-დაწესებულებებმა გასული სასწავლო წლისათვის ააგეს 61 ახალი სასკოლო შენობა და სოფლის სკოლების მასწავლებელთა 8 საცხოვრებელი სახლი, სასწავლო-საადმრდელო დაწესებულებათა განკარგულებაში გადასცეს მთელი რიგი ნაგებობანი და ხელსაწყო-იარაღები.

ამ მხრივ, რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონთან ერთად, თავი გამოიჩინა ზუგდიდის რაიონმაც, სადაც სახალხო განათლების კერებს ტრადიციულად ბევრი მეგობარი და მზრუნველი ჰყავს. სკოლიადმი მატერიალური დახმარება ნაყოფიერი სასწავლო-საადმრდელო მუშაობისათვის ყველა პირობის შექმნა მათ ჭეშმარიტად ღვიძლ საქმედ მიაჩნიათ. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გასული წელს სოფლების ნარაზენისა და ჭაქვინჯის კოლმეურნეებმა ადგილობრივ საშუალო სკოლებს გადასცეს 18-ოთახიანი და 22-ოთახიანი კაპიტალური შენობები. მსგავსი საჩუქრები მიიღეს სოფლების — რუხის, ეახათისა და დარჩელის კოლმეურნეობებისაგან ნაწულუკეს, ქვემო ეახათისა და დარჩელის ტელმანის სახელობის შვიდწლიანმა სკოლებმა. ახალსოფლის კოლმეურნეობამ ამავე სოფლის სკოლა-ინტერნატის განკარგულებაში გადასცა 600.000 მანეთად ღირებული კაპიტალური შენობა; ზუგდიდის ჩაის მე-2 ფაბრიკამ ბინით უზრუნველყო ქალაქის მე-8 საშუალო კოლა, ხოლო ჭითაწყაროსა და ახალსოფლის კოლმეურნეობებმა — ცაიშ-ეწერისა და უჩაშოსის დაწყებითი სკოლები; ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს ჩაუბარა ორი ორსართულიანი კორპუსი, ასეთივე ორსართულიანი შენობა გადაეცა ქალაქის მუსიკალურ სასწავლებელსაც.

ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა სკოლებისადმი ფართო საზოგადოებრივი დახმარების ეს ღირსშესანიშნავი ტრადიცია წელს კიდევ უფრო განამტკიცეს და თავი გამოიჩინეს ამ პატრიოტული ვალდებულებებით, რომლებიც მათ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მოსამზადებლად იკისრეს. ჩვენ ადგილზე ვნახეთ და მოვუსმინეთ ამ რაიონის მთელ რიგ ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებს, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული სკოლის გარდაქმნასთან დაკავშირებით ამთავითვე აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელებაში ფართო საზოგადოებრიობის აქტიურად ჩაბმის უდიდესი მნიშვნელობა და მტკიცედ გადაუწყვეტიათ რეალურად დაეხმარონ სკოლას. ეს დამაჯერებლად იგრძნობა არა მხოლოდ იმ კონკრეტული ვალდებულებებიდან, რომლებიც ზუგდიდის რაიონის აქტივის ამას წინათ გამართულმა შეკრებამ მიიღო, არამედ იმ საამედო ნიშამძღვრებიდანაც, რაც მათ უკვე შეუქმნიათ ამ ვალდებულებათა ღირსეულად განაღდებისათვის.

ზუგდიდელები რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი მიმართვაში, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო განათლებაში", პირობას დებენ: გულდასმით აღრიცხონ როგორც პირველ კლასებში მისაღებთა კონტინგენტი, ისე სკოლიდან სხვადასხვა დროს გასული ბავშვები და უზრუნველყონ მათი უკლებლივ ჩაბმა სწავლებაში; ხელმოკლე მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად სასწავლო-საცდელი ნაკვეთების შემოსავალს, კვირაობაობა მოწყობისა და სხვა წყაროების გამოყენებით რაიონის 22 საშუალო და 15 შვიდწლიან სკოლასთან შექმნან საკოველთაო სწავლების ფონდი 100.000 მანეთის ოდენობით.

უზრუნველყონ ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობათა სახსრებით საკოლმეურნეობათაშორისო სკოლა-ინტერნატის მშენებლობისათვის 1959 წელს გათვალისწინებული 3.000.000 მანეთის დროზე ათვისება, ხოლო მშენებლობის დამთავრება 1961 წლის აგვისტოსათვის (სულ აღნიშნული სკოლა-ინტერნატის სახარჯთაღრიცხვა ღირებულებაა 6 მილიონ 700 ათასი მანეთი); მიმდინარე წელს ათთვისონ ზუგდიდისა და ახალსოფლის სკოლა-ინტერნატებისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი 1.550.000 მანეთი და ორივე სკოლა-ინტერნატი გახსნან 1959 წლის 1 სექტემბრისათვის.

ოქტომბრის, ჩხორის, ორჯონიკიძის, ჭითაწყაროს, რიყის კოლმეურნეობები კისრულობენ ააგონ საშუალო სკოლის ტიპური შენობები 440 ბავშვისათვის. ხუთივე სკოლის ასაშენებლად მარტო

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია ვარშავაში ჩავიდა

ვარშავა, 7 ივნისი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, გუშინ ვარშავაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით. დელეგაცია დაესწრება პოზნანის 28-ე საერთაშორისო ბაზრობაზე.

საერთაშორისო დელეგაციას შეხვდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული დაგეგმვის კომისიის თავმჯდომარე ს. ენდრიხოვსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები პ. ია ო ო შ ე ვ ი ჩ ი და ზ. ნოვაკი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მ. ნაშკოვსკი და სხვა ოფიციალური პირები.

ვარშავა, 7 ივნისი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გომულკამ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. ესწრებოდა სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებული პოლონეთში გ. ა. კისელიოვი.

საუბარმა გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ეკონომიური ურთიერთობისათვის

მოლაპარაკების შედეგად მიმდინარე წლის 5 ივნისს მოსკოვში ხელმოწერილია ოქმი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ტექნიკურ დახმარებას გაუწევს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის შემდგომ გაფართოებაში.

ოქმი ითვალისწინებს იმას, რომ საბჭოთა ორგანიზაციები შეასრულებენ საპროექტო სამუშაოებს, სსრ კავშირი აწვდის მეტალურგიულ და სხვა მოწყობილობას.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულითადობის, მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის სულისკვეთებით.

ოქმს ხელს აწერენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, პოლონეთის მხრივ — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის მინისტრი კ. ფემაიტისი.



საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 6 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდნენ ერთმანეთს ინგლისის დელეგაციის რეზიდენციაში და განაგრძობდნენ იმ საკითხების განხილვას, რომლებიც თათბირის მუშაობას შეეხება. მინისტრები შეთანხმდნენ ახალი არაოფიციალური შეხვედრის შესახებ ორშაბათს 8 ივნისს სსრ კავშირის დელეგაციის რეზიდენციაში. ამასთან დაკავშირებით 8 ივნისს ოფიციალური სხდომა არ გაიმართება.

გვალვა დასავლეთ გერმანიაში

ბონი, 6 ივნისი. (საკდესი). დღეს პრესა იუწყება ძლიერი გვალვის შესახებ დასავლეთ გერმანიის ჩრდილოეთ ნაწილში.

ორი თვის განმავლობაში წერს „დი ველტი“, შლეზვიგ-ჰოლშტაინში და ქვემო საქსონიაში თითქმის სრულებით არ ყოფილა წვიმა. ბევრი საძოვარი გადამწვარია და პირუტყვს არა აქვს საკვები. რძის წარმოება უკვე მნიშვნელოვნად შემცირდა. საფრთხე მოელით აგრეთვე ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესებს.

ყოველ-დღიური მიმოხილვა

ჟენევიდან იუწყებიან, რომ შეეიცარიის ამ ქალაქში ჩადის მსოფლიოს ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი. დ ე ლ ე გ აციები, რომლებიც კეთილი ნების ათასობით ადამიანს იქ გაუგზავნია სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს უდგენენ მოთხოვნებს, აძლევენ რჩევას და გამოთქვამენ სურვილებს. ევროპის პროფკავშირთა და მშრომელთა კონფერენციამ, რომელიც მაისში გაიმართა ჰელსიკი-ზგოქელეცში, ჟენევაში გაგზავნა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიანი. ლაიპციგიდან ჩავიდა მუშათა მომრაობის რვა მოღვაწე, რომლებიც გაგზავნა ქიმიური, ნავთობისა და ძრეწველობის მომპოვნავი დარგების მშრომელთა მსოფლიო კონფერენციამ. მძლავრ ნაკადად მიდის დეპეშები და წერილები...

ყოველივე ეს მოწმობს ჟენევის თათბირის დიდ მნიშვნელობას და მისდამი მილიონობით ადამიანის ყურადღებას. მათი მოთხოვნები ერთსულოვანია. კაცობრობას მეტად მობეზრდა „ცივი ომი“, მას ღარ შეუძლია იცხოვროს წუხილისა და მოუსვენრობის ეთარებში, იგი მტკიცედ მოითხოვს ძირეულ ცვლილებას საერთაშორისო ვითარებაში მშვიდობის განმტკიცების მხრივ. ხოლო როგორ უპასუხებს ამ მოთხოვნაზე ჟენევის თათბირი?

რეაქციული ბურჟუაზიული პრესის მრავალი აღიარებთ, სულ უკანასკნელ დღეებში დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებმაც განზე გადადეს თვიანთი ფართოდ რეკლამირებული, მაგრამ არარეალისტური „კომპლექსური გეგმა“, იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ ბერლინის სრულიად კონკრეტული საკითხის განხილვაზე. ჯერჯერობით ძნელია ლაპარაკი რაიმე პროგრესზე ამ მწვავე პრობლემის განხილვისას, მაგრამ ფაქტი ფაქტია: მოლაპარაკება ევროპის ცენტრში ვითარების გაჯანსაღების კონკრეტულ საკითხებზე ნამდვილად დაიწყო. ეს დადებითი ფაქტი, როგორც იტყვიან, „ენიტა“ ამბობს, იმას ნიშნავს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა აღიარეს მათ მიერ წინათ წარმოდგენილი „კომპლექსური გეგმის“ არარეალურობა. დასავლეთ გერმანიის გაზეთიც კი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ წერს, რომ „პერსპექტივები საქმიანი მოლაპარაკებისათვის რამდენადმი გაძლიერდა“.

მაგრამ ის ფაქტი, რომ დასავლეთის პოლიტიკური მოღვაწეები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ არარეალისტური ულტიმატუმის წარდგენაზე, კიდევ არ ნიშნავს მათს ნამდვილ თანხმობას იარონ საერთაშორისო დაძაბულობის ლიკვიდაციის გზით. დასავლეთის წინადადებანი ბერლინის საკითხზე არ იძლევიან წარმატებითი მოლაპარაკების ბაზას. ადენაუერის ხელისუფლებით გერმანიის აღერთიანების და მთელ ბერლინზე ოკუპაციის რეჟიმის გავრცელების გეგმები მოწმობს დასავლეთის გარკვეული წრეების მისწრაფებას შეინარჩუნონ და გააძლიერონ საერთაშორისო დაძაბულობა.

ეს მისწრაფება განსაკუთრებით აშკარად იჩენს თავს დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციაში. აღნიშნავდა ამას, საფრანგეთის ყოველკვირეული „ექსპრესი“ ამ დღეებში სტატიაში „დე გოლი და ჟენევა“ წერდა, რომ საფრანგეთის გარკვეული წრეები დაინტერესებული არიან საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნებით და რომ ეს მათ ესაჭიროებათ საფრანგეთში თავიანთი ძალაუფლების განსამტკიცებლად. „სწორედ ამიტომ, — წერს „ექსპრესი“, — საფრანგეთ-გერმანიის დელეგაცია ჟენევაში, რომელსაც მეთაურობს საფრანგეთის მინისტრი, არავითარ წინადადებას არ აყენებს და ესმოდენ უბადრუკია. ამიტომ „ცივი ომის“ ყოველგვარი გაძლიერება უფრო მეტად გვაშფოთებს ჩვენს უძრავ მდგომარეობაში, ჩვენს კოლონიურ ჭაობში, უფრო მტკიცედ გვაკავშირებს ჩვენს ბორკილთან“.

საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების გზების გამოძებნაზე უარის თქმით გამოსჩენილია დასავლეთის წარმომადგენელთა ის გამოსვლებიც, რომლების მიზანია მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის საკითხის გართულება.

როგორც ცნობილია, დიდ სახელმწიფოთა შორის ჯერ კიდევ ჟენევის თათბირამდე მიღწეული იყო შეთანხმება ერთმანეთს შეხვედროდნენ ჯერ მინისტრთა დონეზე, ხოლო შემდეგ მთავრობათა მეთაურების დონეზე. ინგლისური გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ თითქოს „ივიწყებს“ ამას და წერს: „უეჭველია, დასავლეთმა ისე თუ ისე უნდა გადაწყვიტოს, მტკიცედ მოითხოვს თუ არა ფასს უმაღლეს დონეზე თათბირისათვის, და თუ მოითხოვს, სახელდობრ რა ფასს?“

საკვირველი და სასაცილოა ეს ვიპრუული ტერმინოლოგია და ლოგიკა. საიდან გამომდინარეობს თვით ეს აზრი იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირი და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები „მოვალენი არიან“ რაღაც გადაიხადონ, რაღაც დათმონ, თუ დასავლეთის სახელმწიფოები დათანხმდებიან შეწყვიტონ „ცივი ომი“ და იცხოვრონ მშვიდობით, არ მიმართონ მუქარას და საომარ პროვოკაციებს? დიპლომატიის ისტორიიდან ცნობილია, რომ „ფასს“ იხდის დამარცხებული ან უფრო სუსტი. ხოლო სოციალისტური ბანაკი ახლა უდიდეს აღმავლობას განიცდის, მისი ძალები იზრდება და გაიზრდება, მას არ ეშინია მუქარის. და მისი მისწრაფება მშვიდობისადმი სისუსტით როდია ნაკარნახევი. სიტყვა წარმოთქვა რა ტირანაში, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირს, ალბანეთსა და ყველა სხვა სოციალისტურ ქვეყანას მხურვალედ სურთ, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზშიც შეიქმნას მშვიდობის ზონა, ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონა, მაგრამ თუ ნატოს სახელმწიფოები შექმნიან თავიანთ რაკეტულ-ატომურ დანადგარებს სპერძნეთში, იტალიაში, თურქეთში, დაუყოვნებლივ შეიქმნება საპასუხო საფრთხე ამ ქვეყნების მიმართაც.

არა, საბჭოთა კავშირი ჟენევის თათბირზე ცდილობს და ეცდება მშვიდობის განმტკიცებას ევროპის ცენტრში და დედამიწის სხვა რაიონებში და არ აპირებს „გადაიხადოს“ ამისათვის რაიმე, როგორც ეს სურს ზოგიერთ დასავლეთელ პოლიტიკოს.

• • •

ორი მოვლენა, რაც ამჟამად ხდება აზიის კონტინენტის ორ მოპირდაპირე კუთხეში, მთელი სიცხადით გვიხატავს როგორც დასავლეთის პოლიტიკას, ისე მის უბადრუკ პერსპექტივებს.

შორეულ ინდოჩინეთში, პატარა სახელმწიფო ლაოსში საზღვარგარეთის, უწინარეს ყოვლისა ამერიკის იმპერიალისტური ძალების ხრიკებით, განსაღლა სამოქალაქო ომი, შეწყვეტილი, როგორც ვიცით, დიდი საზელმწიფოების ჟენევის შეთანხმებებით 1954 წელს. ამავე დღეებში მეორე პატარა სახელმწიფო, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ კოლონიზატორთა ულელქვეშ იყო, — ერაყი იშორებს ეკონომიური და სამხედრო დამოკიდებულების უკანასკნელ ბორკილებს. განა შეიძლება საეჭვოდ მივიჩნიოთ, რომ არა ახალი პროვოკაციული ავანტიურა ლაოსში, არამედ რესპუბლიკური ერაყის თავისუფალი მოქმედება არის ყველა კოლონიური და დამოკიდებული სახელმწიფოს მომავლის სიმბოლო.

რვა წლის კოლონიური ომი ინდოჩინეთში შეწყვეტილ იქნა ხალხთა მსურველის მოთხოვნით. ეს მოთხოვნები მით უფრო დამაჯერებელი აღმოჩნდა კოლონიზატორებისათვის, რომ მათ ინდოჩინეთში მთელი რიგი საშინელი დამარცხებანი განიცადეს. 1954 წელს თათბირმა ჟენევაში, რომელზეც თავმჯდომარეობდნენ საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლნი, მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეხებიან არა მარტო ვიეტნამს, არამედ აგრეთვე ლაოსსა და კამბოჯას — ამ რაიონის ორ სხვა ქვეყანას. მაგრამ დაზავების პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მდგომარეობის ნორმალიზაციას მთელ ინდოჩინეთში, არ იცავდნენ და არ იცავენ. ამ პირობებს არღვევენ უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები — ქვეყანა, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჟენევის თათბირზე.

ჟენევის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეაკოწიწეს სეატოს სამხედრო ბლოკი. ჟენევის შეთანხმებების წინააღმდეგ მთ ამერიკის სამფლობელოდ და თავიანთ სამხედრო პლაცდარმად გადააქციეს სამხრეთ ვიეტნამი. ამჟამად კი ისინი ვიეტნამელი ხალხის ჯალათის ნგო დინ დიემის „თანამშრომლობთან“ აღვიგვეტენ ომს ლაოსში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა წინააღმდეგ. როგორც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი წერს ნოტაში ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ჯ. ნეჰრუს (ინდოეთის წარმომადგენელი არის თავმჯდომარე ლაოსის საერთაშორისო კომისიისა, რომელიც ამჟამად არ მუშაობს), ომის ხანძარი კვლავ გაჩაღებულია და ემუქრება მშვიდობას მთელ ინდოჩინეთში.

მაგრამ საფრთხე მარტო ეს როდია. თვითონ ლაოსს მისი მმართველი წრეები უმზადებენ ახლა ყველა იმ ქვეყნის არასახარბიელო ბედს, რომლებმაც სამხრეთ ვიეტნამის, ტაილანდისა და ირანის მსგავსად, მისცეს თავიანთი ტერიტორია ამერიკის აგრესიულ წრეებს. ლაოსი დაჩაგრავს სუვერენიტეტსა და თავისუფლებას, თუ ეს ქვეყანა მოხვდება სეატოს აგრესიული ბლოკის ქსელში, ესე იგი იმათ ბატონობაში, ვინც „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ალმით ნერგავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში რამდენადმე შელამაზებულ კოლონიურ რეჟიმს.

აზიისა და აფრიკის ხალხები ამ დღეებში ხედავენ ერაყის პატრიოტების, მისი მთავრობის გაბედულ, მტკიცე მოქმედებას, მთავრობისა, რომელმაც გააძევა ერაყიდან დიდხანს გაბატონებული ინგლისის სამხედრო-საჰაერო შენაერთები. ამერიკის ჰოსპიტალი ერაყში ნაციონალიზებულია. ერაყის მთავრობამ დაარღვია ერაყის წინანდელ ხელისუფალთა სამი სამხედრო შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ერაყის მთავრობა, როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ემზადება აგრეთვე მოთხოვნები წაუყენოს დასავლეთის სახელმწიფოებს იმის შესახებ, რომ დაუბრუნონ მათ ბანკებში შენახული დიდი თანხა, რომელიც ოდესღაც ეკუთვნოდა ჩამოგდებულ მეფე ფეისალსა და მეფის ოჯახს.

ბაღდადის გაზეთი „ას-სავრა“ სამართლიანად წერდა 1 ივნისს: „მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა ინგლისელმა დატოვა გუშინ სამხედრო ბაზა ჰაბანიაში, იგი გადაიქცა ერაყის არმიის საკუთრებად, გახდა ჩვენი სუვერენიტეტის, ჩვენი სრული ეროვნული დამოუკიდებლობის ახალი სიმბოლო“...

ერაყის საქმეები შთამაგონებელი მაგალითია ყველა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნის ხალხებისათვის.

გ. ლეონტიევი.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის 40 წლისთავის გამო

საზეიმო კრება სოფიაში

სოფია, 5 ივნისი. (საკდესი). ბულგარელი ხალხი დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ფართოდ აღნიშნავს ძველი ნანიშნავ ისტორიულ თარიღს ბულგარეთის ცხოვრებაში — ბულგარეთის სახელოვანი კომუნისტური პარტიის 40 წლისთავს.

დღეს სალამოს პარტიული სახლის სხდომათა დარბაზში სოფიაში გაიმართა საზეიმო კრება ბულგარეთის კომუნისტური პარტიის I ყრილობის 40 წლისთავის გამო, რომელიც მოაწყეს პარტიის ცენტრალურმა და სოფიის საქალაქო კომიტეტებმა. კრების პრეზიდიუმში არიან ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე დიმიტრი განევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანტონ იუგოვი და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, პარტიის ძველი წევრები — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის I ყრილობის მონაწილეები.

კრება გახსნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სოფიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გიორგი კოსტოვმა.

მოხსენება „ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობის 40 წლისთავი“ გააკეთა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დიმიტრი განევმა.

კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისახალმებელ დეპეშას.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღმავლობით მიიღეს მისახალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

ადენაუერის მანევრი ზეუფოთებას იწვევს დასავლეთში

ლონდონი, 8 ივნისი. (საკდესი). ინგლისის სხვადასხვა მიმართულების პრესა ხალისით აქვეყნებს თავისი ბონელი კორესპონდენტების ცნობებს, რომ დასავლეთ გერმანიაში აღშფოთებული არიან იმისთან დაკავშირებით, რომ ადენაუერი უარს ამბობს დატოვოს კანცლერის პოსტი.

„პარლამენტში, — წერს გაზეთ „სანდი ტაიმსის“ ბონელი კორესპონდენტი ანტონი ტერი, — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი რიგითი დეპუტატები შეშფოთებული არიან იმით, თუ რა გავლენას მოახდენს ადენაუერის მოქმედება ამომრჩევლებზე... საზოგადოებრიობა აღშფოთებული და შეურაცხყოფილია ამომრჩევლებისა და პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი ადენაუერის გულგრილი დამოკიდებულების ახალი დამამტკიცებელი საბუთებით და კიდევ უფრო იმით, რომ დეპუტატები, რომელნიც მხარს უჭერენ მთავრობას, მზად არიან მიაღებინონ ეს გადაწყვეტილება“.

გაზეთ „სანდი ექსპრესის“ ბონელი კორესპონდენტი სტატიაში სათაურით „ადენაუერის გადაწყვეტილება თიშავს გერმანიას“, აღნიშნავს, რომ „ადენაუერის ოპოზიცია კვლავ ბობოქრობს მის საკუთარ ქრისტიან დემოკრატთა რიგებში“. „და ამით მარტო დასავლეთის გერმანელები როდი არიან შეშფოთებული“. „ადენაუერის გამოწვევამ“, — აღნიშნავს კორესპონდენტი, — „შეაშფოთა დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეებიც“.

გაზეთი „რეინოლდს ნიუსი“ სარედაქციო სტატიაში აღშფოთებას გამოთქვამს ადენაუერის მანევრის გამო.

ერაყის ხალხის ნების ზეიმი

ბაღდადი, 6 ივნისი. (საკდესი). გაზეთები კომენტარს უკეთებენ ერაყის მთავრობის იმ უკანასკნელ გადაწყვეტილებას, რომ გაუქმდეს სამი შეთანხმება ერაყისადმი ამერიკის ეგრეთწოდებული დახმარების შესახებ. ეს შეთანხმებანი თვის დროზე წინანდელი რეჟიმის მმართველმა წრეებმა დადეს და ისინი ლახვდნენ ერაყის რესპუბლიკის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

სტატიაში სათაურით „ახალი მიღწევა ჩვენი ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცებაში“ გაზეთი „იტიჰად ამ-შაბაბ“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ამ არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გაუქმება ლოგიკური შედეგია ერაყის სახალხო რევოლუციისა და დამოუკიდებელი პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა ახორციელებს“.

გაზეთი „ალ-ახბარი“ სტატიაში სათაურით: „უცხოელთა ევაკუაცია და განთავისუფლება იმპერიალისტური შეთანხმებებისაგან“ წერს, რომ ინგლისის ჯარების ევაკუაცია ჰაბანიის სამხედრო ბაზებიდან, რომელიც წარსულ კვირაში დამთავრდა, და ერაყის მთავრობის მიერ უარისთქმა სამ არათანასწორუფლებიან შეთანხმებაზე შეერთებულ შტატებთან, „ერაყის ხალხის ნების ზეიმია, მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების გამარჯვება ერაყში“.

მდგომარეობა პარაგვაიში

გუვენოს-აირესი, 6 ივნისი. (საკდესი). პარაგვაიში გრძელდება სახალხო მასების გამოსვლები სიძვირის ზრდისა და სტრესნერის დიქტატორული რეჟიმის პოლიციური თვითნებობის წინააღმდეგ. ბრძოლაში მონაწილეობენ მუშები, სტუდენტი ახალგაზრდობა, ინტელიგენცია, მმართველი პარტიის „კოლორადოს“ წევრები. პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში და პარაგვაის სხვა ადგილებში ეწყობა მიტინგები, დემონსტრაციები, გაფიცვები. სტუდენტთა დემონსტრაციის დროს ასუნსიონში ხელისუფლებმა დემონსტრანტთა წინააღმდეგ გაგზავნეს ჯარები და პოლიცია, რომლებმაც გამოიყენეს რეზინის კეტები, ცრემლსადენი გაზები. დემონსტრაციის ბევრი მონაწილე დაშავდა, ბევრი ჩაყარეს საპყრობილეებში.

ხელისუფალთა თვითნებობამ და პოლიციურმა რეპრესიებმა მოსახლეობის ფართო ფენების აღშფოთება გამოიწვია. დეპუტატთა პალატამაც კი, რომელიც მხოლოდ მმართველი პარტიის „კოლორადოს“ წევრებისაგან შედგება, პროტესტი განაცხადა პოლიციური თვითნებობის წინააღმდეგ. საპროტესტო მოძრაობის ჩასახშობად სტრესნერის მთავრობამ შემოიღო საგანგებო წესები, დაითხოვა დეპუტატთა პალატა, ბრძანება გასცა დაპატიმრებულ იქნას 16 დეპუტატი და პარტია „კოლორადოს“ ბევრი მოღვაწე.

გაზეთ „პრენსას“ მონაცემებით, ასუნსიონიდან მიღებული ცნობების თანახმად, საშუალო სასწავლებელთა სტუდენტებმა მიიღეს გადაწყვეტილება გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გაგრძელდება მანამდე, სანამ მთავრობა არ გაათავისუფლებს დაპატიმრებულებს და არ გააუქმებს საგანგებო წესებს.

ლორკასადმი მიძღვნილი სპექტაკლი

პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა გამოჩენილი ესპანელი პოეტისა და დრამატურგის ფედერიკო გარსია ლორკას დაბადების 60 წლისთავი.

დღეს თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის თეატრი კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში თბილისელ მაყურებელს უჩვენებს დადგმას — „სისხლიან ქორწილს“. სპექტაკლი მიძღვნილია მწერლის დაბადების 60 წლისთავისადმი. დადგმა ეკუთვნის თ. მალაშვილს, მხატვრობა — რ. თარხანმოურავს, მუსიკა — ი. გეჯაძეს.

სსრ კავშირის პირველობაზე

სტალინო, 7 ივნისი. აქ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და სტალინოს „ზენტორის“ გუნდები. გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 2:0.

მოსკოვი, 8 ივნისი. დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე საკავშირო პირველობის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდები. შეხვედრა მოიგო ცსკა მო-მ 3 : 0.



იალაღებზე.

ფოტოტეტუდი რ. ია ა შ ვ ი ლ ი ს ა.

ციურიხის საერთაშორისო სამაჯრაკო ტურნირი

ციურიხი, 8 ივნისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ციურიხის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელი ტური. ტალ-ფიშერის შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. საინტერესო და დაძაბული ბრძოლის შემდეგ საბჭოთა ამერიკელი მოჭადრაკეები 35-ე სვლაზე ყაიმს დათანხმდნენ. ამრიგად, საბჭოთა გროსმაისტერმა მიხეილ ტალმა მოიგო-ვა 11,5 ქულა და უზრუნველყო თავისთვის სულ ცოტა პირველი და მეორე ადგილის გაყოფა. ტალს შეეძლება დაეწიოს მხოლოდ გლეგორიჩი (იუგოსლავია), რომელსაც უკანასკნელი ტურის წინ 10½ ქულა ჰქონდა და უპირატესობით გადადო პარტია კუპერის წინააღმდეგ. მაგრამ ამ უპირატესობის განაღდება მეტად ძნელია.

ფიშერმა დაამთავრა ტურნირი. მან მოაგროვა 10½ ქულა. კერესს აქვს 10 ქულა და გადადებული პარტია.

ბ. გურგენიძე — საქართველოს ჩემპიონი

ერთი თვის ბრძოლის შემდეგ საქართველოს პირველობა დამთავრდა ოსტატ ბ. გურგენიძის გამარჯვებით. მან რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ისე, რომ არც ერთი პარტია არ წაუგია. ბ. გურგენიძემ გამომძღვანა საუკეთესო თვისებები — სიმაძაფრე ოერიშში და შეუპოვრობა დაცვაში. მისი თამაშიდ ხასიათდებოდა მუდმივი მისწრაფებით ხელთ ეგდო ინიციატივა. წელს ბ. გურგენიძეს მოელის მთელ რიგ პასუხსაგებ შეჯახებებში გამოსვლა, ამიტომ მისთვის, ისევე როგორც სხვა ქართველ ლ ი მ ჭ ა დ რ ა კ ე ებ ი ს თვის, აუცილებელია კარგად მოემზადონ, რათა კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწიონ.

მოგვყავს ტურნირის შედეგები: პირველი ადგილი დაიკავა ოსტატმა ბ. გურგენიძემ — 14 ქულა, მეორე — ა. ბუსლაევმა — 11½ ქულა, მესამე — ოსტატმა მ. შიშოვმა — 11 ქულა. მე-4, მე-5 და მე-6 ადგილები გაიყვეს თ. გიორგაძემ, დ. ჯანოევმა და გ. მაჭავარიანმა — 10½ ქულა თითეულს, მე-7 და მე-8 ადგილები — გ. გამრეკელმა და ა. ვეტოხინმა — 9½ ქულა თვითეულს, მე-9 და მე-10 ადგილები — ა. ბლაგიძემ და თ. ლომაიამ — 8½ ქულა თვითეულს, მე-11 და მე-12 ადგილები ნ. გაფრინდაშვილმა და მ. დემურიამ — 7½ ქულა თვითეულს.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

ახალი წიგნები

გამოვიდა გამოჩენილი ქართველი კომედიოგრაფის პოლიკარპე კაკაბაძის დრამატულ თხზულებათა სრული კრებული. კრებულში დაბეჭდილია: ყვარყვარე თუთაბერი, კოლმეურნის ქორწინება, დავით მერვე, დიმიტრი მერვე, სამი ახული, ციცინათელა, გათენების წინ, პაექრობა, ქარიშხალი.

წიგნი გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. რედაქტორია მ. ბაკურაძე, მხატვარი ვ. ყაჟლაშვილი. ტირაჟი 15.000, ფასი 16 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ერემია ქარელიშვილის ლიტერატურული ნარკვევები. წიგნში განხილულია ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილის და ოიოდიონ ევდოშვილის შემოქმედება. წიგნს დართული აქვს ბოლოთქმა. რედაქტორია ნ. ხომერიკი, მხატვარი ი. ჯანაშვილი, ტირაჟი 3.000. ფასი 16 მან. 30 კაპ.

მოსკოვის ცენტრალურმა გამომცემლობამ „მოლოდაია გვარდიამ“ გამოსცა საქართველოში მომუშავე რუსი მწერლის მიხეილ ლოხვიცკის მოთხრობების წიგნი „მთიელები“. წიგნის რედაქტორია მ. ლაშინი, მხატვარი ა. ლინდინი, ტირაჟი 30.000. ფასი 4 მან. 30 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მორიგი XVI სამეცნიერო სესია შედგება მიმდინარე წლის 9, 10 და 11 ივნისს

დღის წესრიგი:

9 ივნისს დღის 11 საათზე

1. სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებები და ფილოსოფიის ინსტიტუტის ამოცანები, 2. კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ, 3. დიალექტიკური წინააღმდეგობის ცნებისათვის, 4. ფილოსოფიური ანალიზის ინგლისური სკოლის კრიტიკა, 5. კანტის მოძღვრების მთავარი ასპექტები ფილოსოფიურ-ისტორიულ ლიტერატურაში.

10 ივნისს დღის 11 საათზე

1. დროის ფილოსოფიური პრობლემის შესახებ, 2. არისტოტელური ლოგიკის ადგილი თანამედროვე ლოგიკაში, 3. სოციოლოგიის საგნის ფსიქოლოგისტური გაგების კრიტიკა, 4. ესთეტიკურის გაგების ერთი სინძლის შესახებ, 5. სიბრძნის ცნება ს. ორბელიანის ნაზრევში.

11 ივნისს დღის 11 საათზე

1. ალბათობის ცნების შესახებ, 2. ზნეობის საფუძვლების შესახებ, 3. ლოგიკის საგნის საკითხისათვის, 4. მატერიალიზმის ერთი უარყოფის ცდის შესახებ, 5. ჭეშმარიტების კრიტერიუმის საკითხისათვის.

სხდომები შედგება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის (რუსთაველის პროსპ. № 29) სხდომათა დარბაზში.

დისერტაციის დაცვა

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 1)

1959 წ. 20 ივნისს, დღის 1 საათზე, № 99 აუდიტორიაში ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნოდარ იოსებიშ-ძე კირვალიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„პრაქტიკის რაობისა და როლის შესახებ“.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რ ა დ ი ო

9 ივნისი

პირველი პროგრამით

11.00 — გადაცემა — „სახალხო დეპოკრატიის ქვეყნებში“, 11.15 — სკრიბინი. მესამე სიმფონია, 12.15 — ქართული საფორტეპიანო დუეტები, 12.45 — ვარლამოვის სიმღერები, 17.20 — ა. შავერზაშვილი. საფორტეპიანო ტრიო, 17.45 — გადაცემა ყველაზე პატარებისათვის, 18.05 — დ. გამრეკელის კონცერტი, 18.45 — სიმღერები ქალთა ვოკალური ტრიოს და ვაჟთა ვოკალური კვარტეტის შესრულებით, 19.15 — ქართული პოპულარული საოპერო მუსიკა, 20.20 — რადიოჟურნალი